

ც ა პ ა ბ მ ო დ ე ბ ა ს ა

# პირვენი ქრისტიანი



ე ც რ ა ბ ე მ ღ ლ ი ბ ა პ ც

# პირების კრებული

თბილისი  
2014

# ღმირთ ქვ აღმისამებრებელი

პიესა ორ მოქმედებად



## ავტორისაგან

ძნელი წარმოსადგენია, მსოფლიოში არსებობდეს ერი, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე არ ჰქონდეს გადამწყვეტი უამი ყოფნა-არყოფნისა. ამ მნიშვნელოვან უამს ერი ინსტინქტურად ერთიანდება ღირსეული ლიდერის, ერისკაცის გარშემო და ხდება მონოლითური. მთელი ძალისხმევით ებრძვის მტერს და კიდეც იმარჯვებს. საქართველოს ასეთი უამი ედგა 1080 წელს, როდესაც თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვანმა ურდოებმა სასტიკად ააოხრეს საქართველო. დიდი სიმძიმისა და სისასტიკის გამო ქართველებმა მას დიდი თურქობა უნდღეს. საქართველოში მაშინ გიორგი მეორე მეფობდა, თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში იგი უძლური აღმოჩნდა. ქვეყნის გადასარჩენად საჭირო იყო სულ სხვა თვისებების მქონე პიროვნება და ასეთი აღმოჩნდა გიორგი მეორის ვაჟი დავით IV აღმაშენებელი. იგი გამეფდა 1089 წელს და აღესრულა 1125 წელს. იმედა 36 წელი. ბევრია თუ ცოტა ეს სახელმწიფო მოღვაწისათვის? როცა მის ნამოქმედარს გადავხედავთ, სუნთქვა გვეკვრის მის ზეადამიანური გააზრებისას. დღევანდელი გადასახედიდანაც კი წარმოუდგენლად ფანტასტიურად გვეჩვენება იმ შორეულ, მეთორმეტე საუკუნის უამს ძნელბედობის პირობებში მყოფი საქართველოს გადარჩენა. დავით აღმაშენებელმა მემკვიდრეობით მძიმე ტვირთი მიიღო. ქვეყანა სისხლისაგან იყო დაცლილი, გადარჩენილები მთაში იყვნენ გახიზნულნი, თბილისი არაბებს ეპყრათ, საქართველოსაგან ჩამოცილებული იყო კახეთ-ჰერეთი, ახლო მეზობლად თურქ-სელჩუკთა უდიდესი სამბრძანებლო გადაჭიმულიყო, მუსულმანთა ოკეანეს მოეცვა მთელი შუა და წინა აზია და ქრისტიანებს: ქართველებს, სომხებს და ბიზანტიელებს გადაშენებით ემუქრე-

ბოდნენ. დავითს მხოლოდ „მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წალულისთვის“ რჩებოდა. ამას სახელმწიფო არ ერქვა. როგორც ვთქვით, დავითი ქვეყნისათვის ურთულეს დროს ავიდა სამეფო ტახტზე. ლაშქარი დემორალიზებული იყო, გარეშე მტერი მომძლავრებული, სახელმწიფოს შიგნით თავადების დიდი ნაწილი თავაშვებული. ამ დროს დავითმა დაიწყო და დაამთავრა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს მშენებლობა, გააერთიანა იგი, გაანადგურა მტერი. ყოველივე ამის განხორციელებას დასჭირდა უდიდესი ძალისხმევა – დიდი ბრძოლა და შრომა, სახელმწიფოებრივი რეფორმების გატარება ცხოვრების ყველა სფეროში, ყოველივე ამაში იგი დიდი ოსტატობით იყენებდა ქვეყნად ყველაზე ძლიერ იარაღს – ცოდნას, რომლის შეძენის ულევ წყაროდ მას ნიგნი მიაჩნდა, რომელსაც სადაც არ უნდა ყოფილიყო, თან დაატარებდა. იმ პერიოდში საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს სასიკეთო ამბები ხდებოდა: 1097 და 1099 წლებში ჯვაროსნებმა აიღეს ანტიოქია და იერუსალიმი. დავით აღმაშენებელმა ხარკის გადახდა შეუწყვიტა თურქ-სელჩუკებს და აქტიური ბრძოლა გააჩაღა მათ წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ქვეყნის ძირძველი ქართული ტერიტორიების შემოერთება-გაერთიანება და კავკასიისა და ახლოაღმოსავლეთის ქვეყნების ვასალურ დამოკიდებულებაში ჩაყენება.

დავითის წარმატებული ლაშქრობების გვირგვინი იყო დიდ-გორის ბრძოლა, რომელიც 1121 წლის 14 აგვისტოს გაიმართა. მძლავრმა მუსლიმანურმა კოალიციამ საქართველოს წინააღმდეგ დაახლოებით 300 000 მეომარი გამოიყვანა, დავითმა მტერს 55 ათას 600 მოლაშქრე დაახვედრა და ბრნეინვალე გამარჯვება მოიპოვა. ამ გამარჯვებამ საქართველო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. 1122 წელს დავით მეოთხემ თბილისი აიღო და ოთხას წელს უცხოელთა ხელში ნამყოფი თბილისი კვლავ საქართველოს დედაქალაქად აქცია,

რითაც ფაქტიურად დაასრულა ქართული მიწების გაერთიანების ისტორიული მისია. დავით აღმაშენებელმა ოცი წლის მანძილზე სამოცი დიდი თუ მცირე ბრძოლა გადაიხადა მტრის ნინააღმდეგ და სამუდამოდ აღკვეთა დამპყრობლებთა ყოფნა ქართულ მიწაზე. შეიქმნა ერთიანი მძლავრი სახელმწიფო ნიკოფისიდან დარუბანდამდის და ოვსეთიდან არაგანამდე. ამ სახელმწიფოში მრავალი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა, მაგრამ სახელმწიფო ენა იყო ქართული.

დავით აღმაშენებელმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქვეყნის კულტურულ აღმშენებლობაშიც, ამის გვირგვინს წარმოადგენს გელათის აკადემია, სადაც სამოღვაწეოდ მოიწვია გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსები და მოაზროვნენი: იოანე პეტრინი და არსენ იყალთოელი. 1125 წელს დავითმა საკუთარი ხელით დაადგა გვირგვინი თავის შვილს – დემეტრეს და გადასცა თავისი უძლეველი, მრავალ ბრძოლაში გამოვლილი მახვილი.

ამ პერიოდში დაწერა მან „გალობანი სინანულისანი“, თავისი გასაოცარი აღსარება, სულის პოეზია და ფილოსოფია.

ბრძოლის ველზე სიკვდილი მას გაურბოდა, მაგრამ ბოლოს მიაკითხა ამ არაჩეულებრივ კაცს ჩეკულებრივ გარემოში, 1125 წლის 26 იანვარს, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დიდი მეფე და მხედართმთავარი დავით IV აღმაშენებელი. ქართულ სახელმწიფო დროშას ეწოდა გორგასლიან-დავითიანი. ამრიგად, ბაგრატ III-ის მეფობის დროს დაწყებული საქართველოს გაერთიანების საქმე ბრწყინვალედ დააგვირგვინა დავით IV აღმაშენებელმა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა აღაფრთოვანებს და სიამაყით აღავსებს ყველა ქართველს. მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებელზე ბევრი თქმულა და დაწერილა, საქართველოს საზოგადოებრიობა დიდ ვალშია მეფე დავით IV-ის ხსოვნის ნინაშე. საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დავით აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა. მისი მეფობის დროს სრულიად საქართველომ ძლიე-

რეპის აქამდე არნახულ სიმაღლეს მიაღწია. მისი მოღვაწეობა სათანადოდ არ არის ასახული როგორც ისტორიოგრაფიაში, ასევე ლიტერატურაში, კინოსა და თეატრში.

21-ე საუკუნის დასაწყისი მსოფლიოში თეატრისა და კინე-მატოგრაფიის არნახული წარმატებებით აღინიშნა, მრავალმა ქვეყანამ წარმოაჩინა თავისი ისტორიული გმირები.

დავით IV აღმაშენებელი ნებისმიერი ქვეყნის ისტორიას დაამშვენებდა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ამ ისტორიული გმირი – წმინდანის წარმოჩენა საქართველოს ვალია, რომლის ავტორიტეტი გაცილებით ამაღლდება მსოფლიოს თვალში ამ პერსონაჟის ხელოვნებაში გაცოცხლებით.

გთავაზობთ თეატრალურ პიესას „დავით IV აღმაშენებელი“ ორ მოქმედებად. დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის მთლიანად გადმოცემა თეატრის სცენაზე შეუძლებლად მიგვაჩნია, ამიტომ მისი მოღვაწეობის მხოლოდ უმნიშვნელოვანესი მოვლენების ასახვა ვცადეთ, ძირითადი მოვლენები და პერსონაჟები ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამებიან, მაგრამ როგორც მხატვრულ წარმოებს შეეფერება, პიესაში გვხვდება ავტორის მიერ გამოგონილი ამბები და პერსონაჟები, რომელნიც ხელს არ უშლიან ისტორიული ფაქტების წარმოჩენას, უფრო მეტი, ხელს უნყობენ ჩვენი დიდი წინაპრის რეალური სახის სრულყოფილად წარმოდგენას.

## მოქმედი პირები

**გიორგი მეორე ბაგრატიონი – საქართველოს მეფე.**

დავით IV-ე აღმაშენებლის მამა.

**დედოფალი ელენე – დავით აღმაშენებლის დედა.**

**დავით IV აღმაშენებელი – ერთიანი საქართველოს მეფე.**

**გიორგი ჭყონდიდელი – დავით IV-ე აღმაშენებლის აღმზრდელი,  
მნიგნობართუხუცესი.**

**გურანდუხტ დედოფალი – დავით IV-ე აღმაშენებლის მეუღლე.**

**დემეტრე დავითის ძე – დავით აღმაშენებლის უფროსი ვაჟი**

**პირველი ცოლისაგან, ტახტის მემკვიდრე.**

**ათრაქი – დავით აღმაშენებლის სიმამრი, ყივჩალთა მთავარი,**

**გურანდუხტ დედოფლის მამა.**

**მარიამ დედოფალი – დავით აღმაშენებლის მამიდა.**

**სვიმონ ჭყონდიდელი – გიორგი ჭყონდიდელის დისწული, მის შემდგომ  
მწიგნობართუხუცესი.**

**მაჰმუდ – ძე მუჰამედისა, ერაყ-ირანის სულთანი.**

**ნეჯმ-ად-დინ-ილლაზი – საქართველოს წინააღმდეგ მეპრძოლი  
კოალიციური ლაშქრის ხელმძღვანელი.**

**აბულები – დავით აღმაშენებლის მემატიანე.**

დავით IV-ე აღმაშენებლის ახლობლები, ერთგული დიდებულები და  
თანამებრძოლნი, მოღალატე თავადები, სხვა მოსამსახურენი.

პირველი მოქმედება მიმდინარეობს ქუთაისის სამეფო სასახლეში და  
ყივჩალეთში. მეორე მოქმედება საქართველოში, სამეფო სასახლეში და ერაყ-  
ირანის სულთანის სასახლეში.

მოქმედების დრო 1073-1125 წლები.

# პირველი მოქმედება

## სცენა №1

საქართველოს მეფის გიორგი მეორის ქუთაისის სასახლე. დიდი დარბაზი. მის შუაში თეთრი მარმარილოს რამდენიმე საფეხურიან კიბის თავზე, ამაღლებულ ადგილას სამეფო ტახტი დგას, მის უკან მაღლა, სასახლის კედელზე ბაგრატიონთა გერბია გამოსახული. იქვე ჰკიდია საქართველოს ლაშქრის ხუთწითელჯვრიანი დროშა, სასახლის კედლები საბრძოლო იარაღებით არის შემკული, რომლებსაც ამშვენებს გორგასლიანის საბრძოლო დროშები, დარბაზის ერთ კუთხეში დიდი ოქროს შანდალი დგას, მის თავზე ნმინდა გიორგის ხატი ჰკიდია. ოთახის ერთი კუთხე წიგნების თაროებს უჭირავს. სასახლეში ქართველ დიდებულებს მოუყრიათ თავი, აქვე არიან მეფის ახლო ნათესავები, მათ შორის არის მეფის ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი, სახელმწიფო მოღვანე, შესანიშნავი მხედარი და მწიგნობარი გიორგი ჭყონდიდელი – მაღალი, წარმოსადეგი, ოცდაათ წელს გადაცილებული მამაკაცი, ჭალარა-შერეული წვერით და დარბაზისლური გამოხედვით. მის გვერდით დგას მეფე გიორგი მეორის ღვიძლი და, ასული ბაგრატ IV კურაპალატისა, დაქვრივებული მარიამ დედოფალი, მეუღლედ ჯერბიზანტიის იმპერატორ მიხაილ დუკას ჰყავდა, შემდეგ – იმპერატორ ნიკიფორე ბოტანაიტისს, მესამედ აპირებდა გათხოვებას იმპერატორ ალექსი კომნენოსზე, მაგრამ ამ უკანასკნელმა გადაიფიქრა და სხვა ქალი მოიყვანა ცოლად. მარიამი საქართველოში დაბრუნდა. მაღალი, წარმოსადეგი, ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული ქალბატონი, შავგვრემანი, შავი თმითა და დიდი, შთამბეჭდავი შავი თვალებით. დარბაზის ერთ მხარეს ბუხარია, მის გვერდით ორი დიდი ირმის ტყავგადაკრული სავარძელი დგას, გვერდზე დიდი მაგიდა დგას, რომელსაც თორმეტი მუხის სკამი უდგას გარშემო, მაგიდაზე ოქროს შანდალი დგას, ვერცხლის თასები ნაირ-ნაირი ხილით, ხოლო

ოქროს სურები წითელი ღვინით არის სავსე. კედლის ერთ მხარეს დიდი მოოქროვილი კარები ჩანს, უცბად ეს კარი იღება და იქიდან შეშფოთებული მოახლე ქალი გამოდის და იძახის:

**მოახლე.** დედოფალი მშობიარობს, ჩქარა, წყალი (მიმართავს იგი მეორე მოახლეს, რომელიც გარეთ ელოდა მას უკვე გამზადებული სავსე თასით და პირსახოცით, ისინი შედიან მშობიარე დედოფლის ოთახში).

**მარიამ დედოფალი** (მიმართავს გიორგი ჭყონდიდელს). ღმერთს ვევედრები, რომ დედოფალმა მშვიდობით იმშობიაროს. ნეტა, რასა იქმს მეფე გიორგი?

**გიორგი ჭყონდიდელი.** შიკრიკმა შეგვატყობინა, რომ მეფე გიორგი ფარცხისთან თურქ-სელჩუკებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და შეიტყო თუ არა დედოფლის მშობიარობის ამბავი, გახარებული სასწრაფოდ სასახლისკენ გამოეშურა.

**მარიამ დედოფალი.** გიორგის გამარჯვება კარგი ნიშანი უნდა იყოს, მაგრამ, აი, უკვე თენდება, დედოფალი კი ჭირვეულობს და მის მშობიარობას საშველი არ დაადგა. (მარიამი მიდის კედელზე დაკიდებულ წმინდა მარიამის ხატთან და ევედრება) წმინდაონ მარიამ, შენ უშველე დედოფალს და მშვიდობით ამშობიარე, მიეც ძლიერი მემკვიდრე ბაგრატიონების მეფის კარს. ისეთი, როგორიც ასე ესაჭიროება ქვეყანას. (ინათებს, მეფის სასახლეს მზის პირველი სხივები გაანათებს და დედოფლის კივილი შესძრავს სასახლეს. ოთახიდან ისმის ბავშვის ტირილის ხმა, კარი იღება და მოახლე ქალი სიხარულით ამცნობს დარბაზში მყოფთ მემკვიდრის დაბადებას).

**მოახლე.** ვაჟია, ვაჟი! გოლიათი დაიბადა (დარბაზში მხიარული ყიუინა ისმის, იქ მყოფი ყველა ერთმანეთს ულოცავს. გარედან ისმის ცხენების ფეხის ხმა, ერთ-ერთი დიდებული გაიხედავს გარეთ).

**დიდებული.** მეფე ბატონი მოპრძანდება, მეფე ბატონი (იღება დარბაზის კარი და თავის სარდლებთან ერთად შემოდის მეფე გიორგი მეორე, ახოვანი ფიზიკურად ძლიერი წარმოსადეგი მამაცი, ჭალარა შერეული თმით და წვერით, მას უფრო დროსტარება და ნადირობა იტაცებდა, ვიდრე სახელმწიფო მოღვაწეობა, მერყევი, მაგრამ მამაცი და გულკეთილი გვირგვინოსანი ასე ორმოც წლამდე. მას მარიამ დედოფალი სასიხარულო ამბავს ამცნობს).

**მარიამ დედოფალი.** გიორგი, გილოცავ, ვაჟიშვილი შეგეძინათ (იგი გადაეხვევა ძმას).

**მეფე გიორგი.** მადლობა უფალს, რომ ეს ნატვრა შემისრულა, ჩემი ვაჟი ბიბლიური დავითის მაგვარი უძლეველი უნდა იყოს და ამიტომ მე ჩემს მემკვიდრეს დავითს დავარქმევ (მეფესთან მიდიან იქ მყოფი დიდებულები და ულოცავენ მას ვაჟის დაბადებას).

**მეფე გიორგი.** (მიმართავს გიორგი წყონდიდელს). გიორგი, აღსაზრდელად მემკვიდრე შენ უნდა მოგაბარო, აბა შენ იცი, როგორ ვაჟკაცს გამომიზრდი.

**გიორგი ჭყონდიდელი.** ვაჟკაცს სანაქებოს გამოგიზრდი, მეფევ ბატონო, ისეთს, რომ საქართველოს მტრებს თავზარი დასცეს და ისეთი გამარჯვებები მოიპოვოს, როგორსაც თქვენ მიაღწიეთ ფარცხისთან დღეს. (მარიამ დედოფალი შედის დედოფლის ოთახში და იქიდან გამოდის ბავშვით ხელში. დარბაზში მყოფი მემკვიდრეს ტაშით ეგებებიან).

**მეფე გიორგი.** (ხელში აჰყავს მემკვიდრე) შეხედეთ, რა ლამაზი და ძლიერია! (დარბაზში ისმის შეძახილები: გაუმარჯოს უფლისნულს დავითს! გიორგი ჭყონდიდელი მეფეს ცისკენ აახედებს და ეტყვის).

**გიორგი ჭყონდიდელი.** მეფევ ბატონო, ხედავთ ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა (ყველა გაიხედავს ცისკენ, გაკვირვებულები არიან ნანახით).

**მეფე გიორგი.** აი, საოცრება! ხედავთ დიდებულნო, ეს უფლის კეთილი ნიშანია, საქართველო ჩემი მემკვიდრის – დავითის მეფობის დროს გაპრეზინდება, დიდება უფალს (დარბაზში მხიარულობაა, ისმის შეძახილები: „დიდება უფალს!“ და პირჯვარს იწერენ, მარიამი მეფეს მემკვიდრეს ჩამოართმევს და დედოფალს გაუყვანს).

**მეფე გიორგი.** ღმერთის წყალობით დედოფალი თავს კარგად გრძნობს, ჩვენ დღეს შეგვიძლია ორი გამარჯვება აღვნიშნოთ – ეს არის ჩვენი მეომრების ბრწყინვალე გამარჯვება თურქ-სელჩუკებზე ფარცხისთან და უფლისწულ დავითის დაბადება. ყველას ქალაქებით სანადიროდ და სანადიმოდ გეპატიუებით.

**ერისთავი ლიპარიტ ბალვაში** (გვერდით მდგომ თავადს გადაულაპარაკებს). ისევ დაიწყო ძველებურად, ქვეყანა თავზე გვენგრევა, ის კი ნადირობასა და ლხინს არ იშლის.

**გვერდზე მდგომი თავადი.** უცნაური და ახირებული კაცია ჩვენი ხელმწიფე, კარგი მეომარი და რაინდი არის, მაგრამ ქეიფსა და ნადირობას ხომ არ უნდა ანაცვალოს ქვეყანა, ან სალხენად გვაქვს საქმე? ქვეყანა სისხლი-საგან იცლება. თბილისში არაბები სხედან, საქართველოსაგან გამოყოფილია კახეთ-ჰერეთი. ახლა კი გაიმარჯვა თურქ-სელჩუკებზე, მაგრამ, აქვე, ახლო, მეზობლად მათი თვალუწვდენელი სამბრძანებელო გადაშლილა. დასალუპად არის განწირული ქრისტიანული საქართველო, სომხეთიც და ბიზანტიაც. ამდენი მარცხის შემდეგ ერთხელ ძლივს გაუმართლა, იქნება უფლისწულის მეფობის დროს გვეშველოს რამე.

**გიორგი ჭყონდიდელი.** მეფევ ბატონო, შემთხვევითი არ არის ქართული ლაშერის გამარჯვება ალგეთის ხეობაში ფარცხისთან. ეს არის შედეგი ქართველი მთავრების ერთიანობისა (მან ლიპარიტს მრისხანედ გადახედა)

ერთმანეთში კინკლაობა გამარჯვებას ვერ მოგვიტანს. ძალა, რომ ერთობაშია ეს ყველას კარგად უნდა ესმოდეს, მაგრამ ზოგიერთი თავადი ჯიუტად მიიწევს განზე და ამით მტერს გულს უხარებს, გასაკეთებელი კი ბევრი გვაქვს, თბილისი გასათავისუფლებელია არაბებისაგან, შემოსაერთებელია კახეთ-ჰერეთი. ამიტომ, მეფევ ბატონო, იქნებ ნადირობა გადაგვედო და საზღვრების გამაგრებას შევდგომოდით?!

**მეფე გიორგი.** ბრძნული ნათქვამია ჩემო გიორგი, საზღვრების გამაგრება კი აუცილებელია, მაგრამ მემკვიდრის დალოცვაც ხომ აუცილებელია, ნადირობა სხვა დროისათვის გადავდოთ, მაგრამ, ნადიმობას კი ვპრძანებ, და მოდით მოვილხინოთ (იგი უპრძანებს მოსამსახურეებს სადღესასწაულო სუფრის გაშლას).

## სცენა №2

ქუთაისის მეფის სასახლე. დიდი დარბაზის ერთ კუთხეში, კედელზე წიგნების ხის თაროებია ჩამოკიდებული, მათში აწყვია სხვადასხვა წიგნი, ქვემოთ მაგიდაა დიდი, რომელზედაც მრავლადაა სხვადასხვა დახურული და გადაშლილი წიგნი, მაგიდას უზის ექვსი წლის ბავშვი, ხელში ბატის ფრთა უჭირავს და რაღაცას წერს. მაგიდის გვერდით, კედელზე წმინდა გიორგის ხატი ჰკიდია. ისმის ცხენის ფლოქვების ხმა. დარბაზში შემოდიან გიორგი მეორე და გიორგი ჭყონდიდელი, მათ თან რამდენიმე სარდალი ახლავთ. მეფე დამწუხრებული ჩანს, დავითი ეგებება მამას.

**დავით უფლისნული.** მამა, რა ხანია გელოდი, რატომ ხარ ასე-თი ნალვლიანი? (გირგი შვილს თავზე ხელს გადაუსვამს და მაგიდას მიუჯდება).

**მეფე გიორგი.** ჩემო შვილო, დღეს თურქებთან სასტიკ, უთა-

ნაბრო ბრძოლაში დავმარცხედით, აპმად ამირას ჯარ-მა მთელი სამხრეთ საქართველო ააოხრა. (ოთახში ამ დროს შემოდიან დედოფალი ელენე და დედოფალი მარიამი. ელენე გიორგი მეფესთან მიდის, მარიამი დავითთან და ეფერება მას).

**დედოფალი ელენე** (წარმოსადეგი დარბაისელი ოცდაათ წელს მიტანებული თმებში ჭალარაგარეული ქალბატონი). გიორგი, რა მოხდა, კიდევ რა უბედურებაა ჩვენს თავს?

**მეფე გიორგი.** ჩემმა მსტოვარმა საშინელი ამბავი მომიტანა, როდესაც სისხლიანი მტარვალი აპმად ამირა სა-ქართველოს საზღვრებს გასცილია, გზად საბერძნეთში სალაშქროდ მიმავალი თურქთა ჯარი შემოჰყრია, აპმადს გასცინებია და უთქვამს მათვის, რა დაგრჩენიათ საბერძნეთში, აგერ საქართველო, აქვეა, ახლოს დაუცველი და სიმდიდრით სავსე. მართალია, ნაალაფევი ბევრი მომაქვს, მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რისი წამოლებაც შეგვეძლო. ამის თქმა იყო და თურქებს სიხარულით საქართველოსკენ საძარცველად გამოუწევიათ. მტერი კალია-სავით შემოესია ქართლს, ტაო-კლარჯეთს, აჭარას, მცხეთა-ჯავახეთს, იმერეთსა და სამეგრელოს. მტერი ქუთაისამდის არის მოსული, გადაწვეს არტანუჯი და გრიგოლ ხანძთელის ხელით აშენებული სავანეები.

**ელენე დედოფალი** (მიდის დავითთან და გულში ჩაიკრავს). ჩემო ძვირფასო შვილო, ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს. ბავშვობაში გაუხარელო, ნეტა იმ დროს მომასწროს ღმერთმა, რომ შენი მეფობის დროს მაინც დამყარდეს მშვიდობა საქართველოში.

**გიორგი ჭყონდიდელი.** ყოველ გაზაფხულს მოდიან ეს ეშმაკის მოციქულები, ქვეყანას ძარცვავენ, მოსახლეობას ულეტენ და ატყვევებენ, ისინი მოდიან ოჯახებით, ქალებით, ბავშვებით, უამრავი საქონლით, ცხენებით,

ცხვრით და აქლემებით. ისინი მოდიან სამუდამოდ დასამკვიდრებლად, თითქოს სხვა ადგილი არ იყოს დედამიწაზე, სახლებს ანგრევენ, ეკლესიებს კი თავ-ლებად აქცევენ, ქალებს ამცირებენ, ჭაბუკებს ხო-ცავენ, ჩვილ ბავშვებს კი იტაცებენ. ამ ველურ ბრძოს შებრალება და ზნეობა არ გააჩინია.

**მეფე გიორგი.** კმარა ამდენი უბედურება, გიორგი, ძალა უნდა მოვიკრიბოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს შემოვიერ-თოდ კახეთი, შემდეგ გაერთიანებული ძალით შევუ-ტიოთ მტერს, ვეჯინის ციხეს ალყა უნდა შემოვარტ-ყათ.

**გიორგი ჭყონდიდელი.** ახლა მეფე ბატონო, შეუფერებელი ვითარებაა. მიზნის მისაღწევად, ქუთაისიდან შორს გასვლა ჯარის გარეშე სახიფათოა. რომც მოვახერ-ხოთ გასვლა ზამთრამდე, ალყა გაჭიანურდება, ხო-ლო, როცა წამოთოვს, ალყის მოხსნა და ქუთაისისკენ წამოსვლა მოვიწევს.

**მეფე გიორგი.** თუ ვეჯინის ციხეს ვერ ავიღებთ, აჯამეთის ტყე-ში ნადირობას მაინც შევძლებთ, ზუსტად ნადირობის უამი იქნება.

**მარიამ დედოფალი.** რა დროს ნადირობაა, გიორგი, გონს მოდი, წლევანდელმა მიწისძვრამ მთელი ქვეყანა დაანგრია, გაანადგურა სოფლები, ქალაქები, ტაძრები, ციხე-სიმაგრეები. ჩამოქცეულ თმოგვის კედლების ქვეშ ცოცხლად, ცოლ-შვილთან ერთად ჩაიმარხა ერის-თავი კახაბერ ნიანიას ძე. ხალხი გამოქვაბულებში ცხოვრობს, აღარავინ ხნავს და თესავს, სავარგუ-ლებში კი მგლები ყმუიან.

**დავით უფლისწული.** (მივა დედასთან, რომელსაც თვალზედ ცრემლი მოსდგომია, მოეხვევა და ეტყვის) ნუ სტირი, დედა, გავიზრდები და ყოველივე სხვაგვარად იქნება, მტერი ვერასოდეს გაბედავს გადმოლახოს საქართ-ველოს საზღვარი. (შემდეგ იგი თავის გამზრდელს

ეუბნება) გამზრდელო ჩემო, მითხარი, რა უნდა გავაკეთო, რომ საქართველო გადავარჩინო?

**გიორგი ჭყონდიდელი.** უფლისწულო, პირველ რიგში თქვენ ბევრი უნდა ისწავლოთ, მტრის დამარცხების საიდუმლო ცოდნაშია, იგი ყველაზე მძლავრი იარაღია, მტერს მცოდნე ადამიანებისა ეშინია. ძლიერი სახელმწიფოს ასაშენებლად ცოდნა არის საჭირო, „რომ იცოდე, უნდა ისწავლო“.

**დავით უფლისწული.** როგორ უნდა მოვიპოვო ცოდნა, გამზრდელო?

**გიორგი ჭყონდიდელი.** ცოდნის სათავე, ჩემო უფლისწულო, ამ თაროებზე დალაგებულ წიგნებშია (და იგი წიგნის თაროებისკენ გაიშვერს ხელს) და ამ კედლებზე დაკიდებული იარაღის ოსტატურად ხმარებაშია. ბევრი უნდა იკითხო, გულმოდგინედ ისწავლო იარაღის ხმარება, ომის წარმოების ხელოვნება, და, რომ გაიზრდები, მტერი ვერაფერს დაგაკლებს.

**დავით უფლისწული.** (კედლიდან მამის ხმალს ჩამოხსნის, ქარქაშიდან ამოილებს, მარჯვენა ხელში დაიჭრს, მარცხენა ხელით კი თაროდან სამოციქულოს ჩამოილებს, კედელზე დაკიდებულ წმინდა გიორგის ხატთან მივა, ცალ მუხლზე დაიჩოქებს და იტყვის) თუ უძლეველობის საიდუმლო ამ ორ კურთხეულ საგანშია, ვფიცავ მაღალ ღმერთს და ჩემს წმინდა მინას, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, სადაც არ უნდა ვიყო, ხელიდან არ გავუშვებ ცოდნის უშრეტ წყაროს – წიგნს, ხოლო ხმალი ჩემი ვერასდროს მოძებნის თავის ქარქაშს.

**გიორგი ჭყონდიდელი.** ღმერთმა გისმენოს, უფლისწულო, მე კი, როგორც შენი გამზრდელი და უფროსი მეგობარი, შენ გვერდით ვიქნები ჭირსა და ლხინში, სიცოცხლის ბოლო წუთამდე და არასდროს გიღალატებ.

**დავით უფლისწული.** გთხოვ, გამზრდელო, ერთი სიზმრის ახს-

ნას. თითქოს ცაში დავფრინავდი არწივივით, ქვემოთ კი თვალუწყვეტილები ხევში მდინარეები გველებივით მიიკლაკნებოდნენ, ზემოთ კაშკაშა მზე მჭრიდა თვალს, უცბად მზის სხივმა გაანათა ქვესკნელი, მზის ისარმა დაკლაკნილი მდინარეებისკენ მიმანიშნა. სწრაფად დავეშვი მათკენ, მაგრამ მდინარე მრავალ-თავიან გველეშაპად გადაიქცა, შევშინდი, მაგრამ მედგრად შევუტიე და მახვილით თავებიც წავაცალე, ნეტა, რას უნდა ნიშნავდეს, გამზრდელო, ყოველივე ეს?

**გიორგი ჭყონდიდელი.** მზის სხივი უფლის ძალაა. იგი ბორო-ტის განადგურებაში დაგეხმარება. უფლისწულო, წმიდა გიორგი გწყალობთ, და, როგორც წმიდა გიორ-გი ანადგურებს გველეშაპს შუბით, ისე თქვენ მოსპობთ მტერს მესის მახვილით.

**დედოფალი ელენე.** ახლა გვიან არის, შვილო, გამოემშვიდობე ყველას და წამოდი შენს საძინებელში.

**უფლისწული.** ღამე მშვიდობისა, ყველას.

**მეფე გიორგი.** ღამე წებისა და კეთილ სიზმრებს გისურვებთ, ჩემი შვილო და იმედო.

### სცენა №3

ქუთაისის სამეფო სასახლე. სასახლეში ხალხმრავლობაა, დიდებულებთან და თავადებთან ერთად აქ არიან საქართველოს მეფე გიორგი მეორე, დედოფალი ელენე და დედოფალი მარიამი, გიორგი ჭყონდიდელი, დავით უფლისწული, იგი უკვე თექვსმეტი წლის არის, იგი თავის მეგობრებთან და თანამებრძოლებთან ერთად დგას.

**მეფე გიორგი.** ისმინეთ, ერო და ბერო. მე, საქართველოს მეფე გიორგი მეორე ბაგრატიონი, საჯაროდ ვაცხადებ, რომ ვიხსნი ჩემს სამეფო უფლება-მოვალეობას სახ-

ელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და ნებაყოფლობით გადავცემ ჩემს მემკვიდრეს, დავით IV ბაგრატიონს სამეფო კვერთხსა და გვირგვინს. ქვეყანას სჭირდება ახალგაზრდა, ენერგიული ხელმწიფე, რომელიც დაუღალავად, უფრო მეტი მონდომებით იბრძოლებს როგორც ქვეყნის შიგნით, ურჩ თავადთა წინააღმდეგ, ასევე გარეშე თავგასული მტრის წინააღმდეგ. ჩვენ ყველანი მხარში უნდა ამოვუდგეთ ახალგაზრდა მეფეს, რათა დავძლიოთ ის სიძნელეები, რომლებიც გველის ქვეყნის გაერთიანების ძნელ, ეკლიან გზაზე. (იგი იხსნის გვირგვინს და ადგამს თავზე დავითს, ასევე იხსნის ხმალს და წელზე ჰკიდებს დავითს, დავითი ჯდება სამეფო ტახტზე. ისმის მხიარული შეძახილები და მილოცვები: „გაუმარჯოს მეფე დავითა!“. ისმის საეკლესიო გალობა).

**დავით მეფე.** ამ, ჩემთვის ძალზე ლირსშესანიშნავ დღეს, ხოლო საქართველოსთვის უმძიმეს უამს, მოგმართავთ თქვენ, ჭეშმარიტო მამულიშვილნო. ვიცი, ჯერ კიდევ გული არ გაგციებიათ და იმედი არ დაგიკარგავთ სამშობლოს გადარჩენისა, ჩვენ დიდი შემართება გვმართებს, სამჭედლოებში დღე და ღამე უნდა ვჭედოთ ჩვენი გამარჯვების მახვილი, არ მოვასვენოთ მტერი, არც დღე არც ღამე, არ მივცეთ ჩვენს მიწაზე დაბანაკების, დასახლების საშუალება, მოულოდნელად უნდა დავესხათ მათ მცირე რაზმებით და განადგურებისთანავე გავუჩინარდეთ.

მტერს თავს უნდა დავატეხოთ უფლისა და ჩვენი რისხვა, წაბილნული ქვეყნის გამო, ხალხი სამალავებიდან და გამოქაბულებიდან უნდა გამოვიყვანოთ, გავამხნეოთ, დავუბრუნოთ რწმენა და საომარი სულისკვეთება, დავეხმაროთ მეურნეობის მოწყობაში, სახლ-კარის აშენებაში, რომ მათ კერიაში ცეცხლი აღარასოდეს ჩაქრეს. მაგრამ ზოგჯერ მტერზედ

უფრო საშიშია შინაური თავგასული მოღალატე ერისთავები. ყველაზე გამორჩეული მათ შორის არის კლდეკარის ერისთავი – ლიპარიტ ბალვაში. იგი თავისი წინაპრების ტრადიციებს არ ღალატობს – ებრძვის მეფესა და საქართველოს კეთილდღეობას. იგი ერთხელ ღალატისათვის შევიპყარით, მისი ვედრება შევიწყნარეთ, ერთგულების ფიცი ჩამოვართვით, მაგრამ მან მაინც არ დაიშალა სამეფო კარის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც ძალლის კუდი არ გასწორდება, ასევე მისი გამოსწორება არ იქნება. ამიტომ ვბრძანებ ხელმეორედ შეიპყარით ლიპარიტი და ბიზანტიაში გაასახლეთ, ქონება მისი და ციხეები სახელმწიფო კუთვნილებაში გადაეცეს.

**გიორგი ჭყონდიდელი.** მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვის არაგვის ერისთავი ძაგან აბულეთის ძეც. მას მხარს უმაგრებს მისი ძმა, ეპისკოპოსი მოდისტო. მოღალატე, ფლიდი და ვერაგი ძმები თვითნებურად იქცევიან, თითქოს მეფე არ ყოფილიყოს ამ ქვეყანაზე. მათ მუხრანისა და ზედაზნის ციხეები მცხეთის, წილკნისა და შიომღვიმის საეკლესიო მამულები ჩვენგან განმდგომილ კახეთის მეფეს გადასცეს. მეფის ბრძანებით მთავარსარდლებმა სასწრაფოდ ლაშქარს თავი მოუყარეთ და არაგვის ხეობაში უკანონდ გადაცემული ციხე მამულები კვლავ სამეფო ხელისუფლებას დაუბრუნეთ. ძაგანი და მოდისტო შეიპყარით, ორივეს მამულები ჩამოართვით, პატივი და ლირსება აჰყარეთ და ბორკილდადებულნი მოგვარეთ მეფეს.

მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ამ მოღალატეების დასჯით არ ეშველება ქვეყანას. აშკარაა, რომ ფეოდალთა თავგასულობას და თავხედობას საეკლესიო-სასულიერო ხელმძღვანელობა უწყობს ხელს, ისინი გაერთიანდნენ მეფის ხელისუფლების დასამხობად. ეკლესიის მეთაურები, პირველ რიგში, თვი-

თონ არიან უმდიდრესი ფეოდალები. მათ სიმდიდრისა და გვარიშვილობის წყალობით ჩაიგდეს ხელში თანამდებობები. უმაღლეს თანამდებობებზე დანიშვნის დროს არავის გაუთვალისწინებია მათი ნიჭიერება ან სამშობლოს წინაშე რაიმე დამსახურება. ამ უმსგავსოებას ბოლო უნდა მოეღოს ერთხელ და სამუდამოდ. ქართული ეკლესია „ავაზაკთა ქვაბად“ გადაქცეულა, ასე გაგრძელება არ შეიძლება.

**დავით მეფე.** ჩვენი დიდი ძალისხმევით რუის-უბნისში საეკლესიო კრება ჩატარდა, სადაც ჩვენმა მომხრეებმა გაიმარჯვეს, საეკლესიო თანამდებობებიდან გადაყენებული იქნენ ულირსი მოღვაწეები. ამიერიდან ჩვენი განკარგულებით აიკრძალება თანამდებობებზე დაწინაურება წოდებისა და მემკვიდრეობის მიხედვით. თანამდებობაზე დაინიშნებიან მხოლოდ ოირსების მიხედვით – ნიჭიერი, განსწავლული და პატიოსანი, მეფისა და ქვეყნის ერთგული ადამიანები. ჩემი წინადაღებით გაერთიანდა ორი თანამდებობა – საერო მწიგნობართუხუცესობა და სასულიერო ჭყონდიდელობა, რომელიც გიორგი ჭყონდიდელს შევთავაზე, გთხოვთ მოუსმინოთ მას.

**გიორგი ჭყონდიდელი.** ყველაფერს გავაკეთებ, რათა საეკლესიო ცხოვრებაში ყველანაირი არასასურველი მოვლენა აღკვეთილ იქნეს. სახელმწიფოს ეფექტური და მოქნილი მმართველობისათვის შეიქმნა სახელმწიფო სავეზირო შვიდი ვეზირისაგან. ესენია:

1. მწიგნობართუხუცესი – პირველი ვეზირი,
2. მანდატუხუცესი – შინაგან საქმეთა ვეზირი,
3. ამირსპასალარი – სამხედრო საქმეთა ვეზირი და სარდალი,
4. მეჭურჭლეთუხუცესი – ფინანსთა გამგე,
5. მსახურთუხუცესი – სამეფო სასახლის კარის შინა სამსახურთა განწესრიგების ვეზირი,

6. ამირახორი – მეჯინიბეთუხუცესი,
7. ჩუხჩარხი – მეფის პირადი სპასპეტი, ანუ მეფის გვარდიის უფროსი.

ასევე, ალსანიშნავია ქართული ლაშქრის მნიშვნელოვანი გამარჯვება ერწუხში, საქართველოს დაუბრუნდა მისი შემადგენელი ნაწილი კახეთ-ჰერეთი, განადგურებული იქნა მოლალატე თავადები, ამ ბრძოლაში, მეფევ ბატონო, თქვენ ვერვინ შეგედრებოდათ ბრძოლაში, სამი ცხენი მოგიკლეს, მაგრამ მტერზე შეტევა არ შეგინყვეტიათ. ბრძოლის დამთავრების შემდეგ კი ყველას თავზარი დაგვცა, როცა აბჯარი შეგხსენით და მტრის შედედებული სისხლი თქვენი აბჯრიდან გადმოსკდა, დაჭრილი გვეგონეთ, მაგრამ უფლის წყალობით თქვენ ერთი ნაკანრიც არ გქონდათ.

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, ყოველივე ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მტრის საბოლოოდ განადგურებისათვის, თურქ-სელჩუკები ძალას იკრებენ და გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან. ისინი რიცხობრივად ბევრად აღემატებიან ჩვენს ლაშქარს, კარგი იქნებოდა, ჩვენი ჯარის შესავსებად დახმარება ყივჩაღებს ვთხოვოთ და მათი როქის სპა საქართველოში ჩამოვიყვანოთ. (ამ დროს ერთ-ერთი ერისთავი სიტყვას ითხოვს).

**ერისთავი.** ჩვენთვის ცნობილია, რომ ყივჩაღები კარგი მეომრები არიან და მათი შენახვაც არ გაგვიჭირდება, სასურველი იქნებოდა ყივაღთა მთავართან ათრაქა შარლანთან გაგვეგზავნა გვარამ ერისთავი და ჩვენი თხოვნა მისთვის გადაეცა.

**დავით მეფე.** ლაშქრის შევსება აუცილებელი საქმეა, მაგრამ ჩრდილოეთის მომთაბარე ტომი, ყივჩაღები ამჟამად რუსეთის მხრიდან არიან შევიწროებულნი და სისხლიან ბრძოლებს აწარმოებენ მათ წინააღმდეგ. ყივჩა-

ლებთან მოლაპარაკებაში მარტო გვარამ ერისთავი ვერაფერს გახდება. ეს მნიშვნელოვანი საქმე მე და გიორგი ჭყონდიდელმა უნდა ვითავოთ. ათრაქი თუ დავითანხმეთ ჯარის მოცემაზე, მათი გამოტარება ოსეთზე ადვილი საქმე არ იქნება. მათ ერთმანეთი შუღლი აქვთ. ამიტომ ჩვენ თავდებად უნდა დაუდგეთ, რომ კავკასიონის ქედის გადმოლაშვისას ყივჩალები არაფერს დაუშავებენ ოსებს.

ვბრძანებ, ყივჩალეთში გასამგზავრებლად სამზადისს შეუდგეს მეფის გვარდიის უფროსი თავისი რაზმით. ჩვენ მალე გავემგზავრებით.

## სცენა №4

ყივჩალთა მთავრის – ათრაქა შარალანის ძე დიდი ორსართულიანი ქვის სახლი. დიდი დარბაზი, იატაკზე აგია ძვირფასი ხალიჩები, კედლებზე ჰკიდია: საბრძოლო იარაღები, შუბები, ფარები, ხმლები, ნადირთა ფიტულების თავები: ირმის, დათვის და გარეული ღორის. ყივჩალთა მთავარი ოთახის თავში, დიდ, მოოქროვილ წითელ აბრეშუმის ბალიშებზე ზის. ათრაქი შუახანს გადაცილებული, ფიზიკურად ძლიერი მამაკაცია, გადაპარსული თავით და დიდი შავი ულვაშებით, ყურებზე მას საყურეები უკეთია. ოთახში ყივჩალი მეომარი შემოდის და ათრაქს მოახსენებს.

**მეომარი.** მთავარო, თქვენთან შესახვედრად საქართველოდან ელჩობა ჩამოვიდა მათი მეფის, დავითის მეთაურობით.

**ათრაქი.** საქართველოდან სტუმრები? ეს ძალზედ საინტერესოა. თხოვეთ, შემოვიდნენ. (დარბაზში შემოდის დავით მეფე თავისი ამალით, ათრაქი წამოდგება და მიესალმება დავითს, რომელიც, თავის მხრივ, პატივს მიაგებს მას). კეთილი იყოს, დავით მეფევ, თქვენი ჩამობრძანება ჩვენთან, ყივჩალეთში.

**დავით მეფე.** სიკეთე და გამარჯვება ღმერთმა არ მოგიშალოს ათრაქ მთავარო.

**ათრაქი.** აბა, ჩემს ძვირფას სტუმრებს კარგი სუფრა გაუშალეთ, საუკეთესო ღვინოები მიართვით ჩემს ქართველ მეგობრებს. (იგი მსახურებს ნიშანს მისცემს). ჩემს გვერდით დაბრძანდით, დავით ბატონი (სხვებსაც მიიპატიუებს, იშლება სუფრა, სადაც მოაქვთ სხვა-დასხვა ღვინოები, ცხვრის და ციკნის ხორცი, რო-გორც შემწვარი, ისე მოხარმული, ნახევრად შიშვ-ლები მოცეკვავე გოგოები ცეკვით ართობენ სტუმ-რებს).

**დავით მეფე.** მე ხელცარიელი არ მოვსულვარ შენთან ათრაქ, საქართველოდან საჩუქრები ჩამოგიტანე.

**ათრაქი.** არ დაგიმალავ, დავით მეფე, მიყვარს საჩუქრები, განსაკუთრებით კი ჩემს ქალიშვილს – გურანდუხტს უყვარს.

**დავით მეფე.** ათრაქს მიართვით საჩუქრები! (ოთახში შემოაქვთ საქართველოდან ჩამოტანილი ოქროსა და ვერცხლის ნაკეთი ნივთები, საბრძოლო იარაღები, ვერცხლის ძვირფასი ქვებით მოჭედილი თასები. ოთახში შემოდის ათრაქის ასული გურანდუხტი ვარდისფერ კაბაში. ავაზასავით მოქნილი ტანი და ლამაზი, შავგვრემანი, სასიამოვნო ნაკვთიანი სახე აქვს, რომელსაც მაღალი ყელი და შავი დიდი თვალები ამშვენებს).

**ათრაქი.** ეს ჩემი ქალიშვილია, გურანდუხტი. მას დღეს 19 წელი შეუსრულდა. მივცეთ უფლება, საჩუქარი აირჩიოს თქვენი ჩამოტანილი ნივთებიდან. (გურანდუხტი ძვირფასი ქვებით მორთულ ვერცხლის ქამარს ირჩევს).

**დავით მეფე.** კარგი გემოვნება ჰქონია თქვენს ასულს, ათრაქ მთავარო.

**ათრაქი.** ძალიან უყვარს საქართველოში დამზადებული ნივ-თები. დავით მეფევ, გთხოვთ მომიყვეთ საქართვე-

ლოს ამბები, რა არის ახალი თქვენს ქვეყანაში, რას საქმიანობთ, ვის ებრძვით და ვისთან ვაჭრობთ?

**დავით მეფე.** (მის გვერდით სხედან გიორგი ჭყონდიდელი და სხვა ქართველი დიდებულები, რომლებიც მადიანად მიირთმევენ და სასმელსაც აყოლებენ). ამ ბოლო დროს მტერი მოგვიმრავლდა ქართველებს. თურქ-სელჩუკები ძალას იკრებენ, დიდი ლაშქრობა უნდა მოაწყონ საქართველოს წინააღმდეგ, რიცხობრივად ჩვენი ლაშქარი ჩამორჩება მათ. როქის სპა უნდა გთხოვოთ, მთავარო, დაქირავებული ლაშქარი, კარგად გადაგიხდით. რას იტყვი?

**ათრაქი.** მტერი ჩვენც მოგვიმრავლდა, ჩვენი მოდგმა განვენილია კავკასიის გასწვრივ, რუსეთსა და ოვსეთს შორის გაშლილ ტრამალებზე. ჩვენი მეომრები ბრძოლებში არიან განთქმულნი, მორჩილნი და ადვილად შესანახი, მაგრამ ჩრდილოეთიდან რუსებისგან ვართ ძალზე შევიწროებულნი, სამხრეთით კი ოსები გვიდგანან ძლიერ და ცბიერ მტრად. რომც მოგცეთ ლაშქარი, ოსები არ გაგატარებენ.

**დავით მეფე.** მე და გიორგი ჭყონდიდელი (და მან გიორგის გადახედა) ოვსეთს სასწრაფოდ გადავალთ და დარიალის ციხეებში ჩვენს მეციხოვნეებს ჩავაყენებთ, ოსებსა და ყივჩალებს შევარიგებთ და თქვენი ლაშქრისათვის სამხრეთის გზა გახსნილი იქნება.

**ათრაქი.** ეს საკითხი მე ჩემს სარდლებთან უნდა შევათანხმო, ჯარსაც დავეკითხო და მერე გადავწყვიტო. ახლა კი, ჩემო მეგობრებო, მოილებინეთ და ისიამოვნეთ, საქმეზე ლაპარაკს ყოველთვის მოვასწრებთ. აბა, ღვინო და ციკნის მწვადები მოართვით სტუმრებს. (მაგიდაზე ღვინო და მწვადები შემოაქვთ). მოცეკვავე გოგოებს დამიძახეთ აქ, სტუმრები უნდა გავართოთ. (ისმის ნაზი ჰანგები და დარბაზის ცენტრში, დიდ ხალიჩაზე შვიდი ყივჩალი გოგო გამოდის, ინყებენ

ცეკვას, მათ სახეს ჩადრი უფარავს, მოქნილ ტანზე სხვადასხვა ფერის გრძელი კაბები აცვიათ, მკლავებსა და მკერდზე თვალ-მარგალიტით მოჭედილი ოქროსა და ვერცხლის სამკაულები უკეთიათ, ვიწრო წელს ლამაზი ვერცხლის ქამრები უმშვენებთ).

**დავით მეფე.** ათრაქ მთავარო, ერთი ამ მშვენიერ მოცეკვავე ქალს შეხედე, ჩემი თქვენდამი მორთმეული ვერცხლის ქამარი უკეთია, ნეტა ვინ უნდა იყოს ეს მშვენიერი ქალი?

**ათრაქი.** ვერ იცანი განა? ეს ხომ ჩემი ქალიშვილი გურანდუხტია. (დავითი იცინის). ჩვენი მეგობრობის სადღეგრძელო იყოს, მეფევ ბატონო, ჩვენთან ერთად ორ მოძმე ხალხს გაუმარჯოს, მათ შორის ძმობა და მეგობრობა ყოფილიყოს, ხოლო შუღლი და მტრობა კი ნურასოდეს გაგვარებოდეს. (ორივე ღვინოს მიართმევს და მოცეკვავე გოგონებს უყურებენ, რომლებმაც ცეკვა დაამთავრეს და ჩადრები მოიხსნეს, სტუმრებს რომ თავი მდაბლად დაუკრეს – შავი თმები ჩამოეშალათ. დავით მეფე იღებს ყვავილების თაიგულს და ათრაქის ასულს გურანდუხტს მიართმევს, ასევე მოიხსნის ოქროს ჯვარს და გურანდუხტს ჩამოკიდებს).

**დავით მეფე.** ეს თქვენ, გურანდუხტ, ჩადრით კი იყავით, მაგრამ ქამრით გიცანით, თქვენმა ცეკვამ დიდი სიამოვნება მომანიჭა.

**გურანდუხტი.** გმადლობთ, მეფევ ბატონო, მიხარია, რომ ჩემმა ცეკვამ თქვენ სიამოვნება მოგანიჭათ. ამ ჯვარს კი არასოდეს მოვიცილებ, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანი არა ვარ.

**დავით მეფე.** მერე და რა გიშლის ხელს, რომ გახდე ქრისტიანი?

**გურანდუხტი.** ჩვენი ადათ-წესი და რწმენა, ჩვენ მრავალლმერთიანები ვართ და ქრისტე-ლმერთს ჩვენთან არ იცნობენ, თუმცა მე ძალიან მაინტერესებს მის შესახებ ყველაფერი.

**დავით მეფე.** ზეიმის შემდეგ დარჩი, შენთვის კიდევ ერთი კარგი საჩუქარი მაქვს, ძვირფასი წიგნი უნდა გაჩუქო, რომელსაც მე მუდამ თან დავატარებ.

**გურანდუხტი.** კეთილი, მეფევ, დავრჩები, მაგრამ თქვენთვის მეც მაქვს საჩუქარი. ვიცი, ნადირობა გიყვართ და ნა-დირობის ცეკვას, რომელსაც შევასრულებ თქვენ გიძლვნით. (იგი გადის ოთახიდან).

**გიორგი ჭყონდიდელი.** ახლა მეფევ ბატონო თქვენ ათრაქს ლაშქართან ერთად ქალიც არ მოსთხოვოთ, თორემ გადაირევა კაცი (და ორივე იცინიან).

**დავით მეფე.** რატომაც არა. შენ იცი, რომ პირველ მეუღლესთან მე გაცილებული ვარ და ათრაქთან დამოყვრება ური- გო არ იქნება (ამ დროს დარბაზში ლამაზი გოგონა შემოდის და ვითომ ყვევილებს კრეფს, უცბად გარეული ტახისთავიანი კაცი გამოვარდება, იგი დახ- ტის და გოგონას აშინებს. მას დიდი ეშვები აქვს და ტანიც ღორის ტყავით შემოსილი. დარბაზში ყველა იცინის. ტახი გოგონას ცეკვით უტევს. ამ დროს, მოპირდაპირე მხარეს, მონადირე გამოჩნდება შუბით ხელში, მას თავზე მუზარადი ახურავს და სახე არ უჩანს: იგი სწრაფად ესვრის შუბს ტახს, მაგრამ ტახი გვერდზე გახტება და მონადირესაკენ გამოქანდება, რომელიც ხმალს ამოიღებს და ტახს აძგერებს, მაგ- რამ ტახი არ კვდება, იგი თავის გრძელი ეშვებით მონადირეს შეებრძოლება. ისმის დოლისა და დაფთა- ფების ხმა, ყველანი დარბაზში იცინიან, მონადირე და ტახი ოსტატურად ებრძვიან ერთმანეთს, გოგონა შეშინებული ადევნებს თვალს მათ ორთაბრძოლას, დავითი მიმართავს ათრაქს). ვინ არის ეს ყმანვილი მონადირე, ასე ოსტატურად რომ ხმარობს ხმალს, ათრაქ მთავარო?

**ათრაქი.** ვინ უნდა იყოს, გარდა ჩემი ქალიშვილის – გურანდუხ- ტისა? (ორივე იცინიან).

**დავით მეფე.** ჩინებული მონადირე და მეომარი გაგიზრდია.

**ათრაქი.** ყივჩალი ქალები მეომრებად იზრდებიან, არც ჩემი ქალიშვილია გამონაკლისი. ისინი მამაკაცებთან ერთად ბრძოლებშიც იღებენ მონაწილეობას, როდესაც ამის საჭიროება არის.

**დავით მეფე.** შეიძლება ჩვენს ჩამოვაყალიბოთ ქალთა რაზმები. პომპეუსის შემოსევის დროს ჩვენს წელთაალრიცხვამდე 65 წელს მის წინააღმდეგ ქალთა რაზმებიც იბრძოდნენ და მათ ამორძალებს ეძახდნენ, ისე რომ, ჩვენ ამის დიდიხნის ტრადიცია გვაქვს. (ამ დროს მონადირე კლავს ტახს და ათავისუფლებს გოგონას, გამარჯვებული მეომარი მუზარადს მოიხსნის და გურანდუხტს შავი, გრძელი თმა მხრებზე ჩამოეშლება, ყველა ტაშს უკრავს და მხიარულობს).

**დავით მეფე.** აი, მესმის, ნადირობაც ასეთი უნდა, ოღონდ ტახებზე ძნელი იქნება სინამდვილეში შუბით ნადირობა. (მიმართავს ათრაქს).

**ათრაქი.** ჩვენი მეომრები ამას ახერხებენ, შეგიძლიათ თავად დარწმუნდეთ ამაში, სანადირო ადგილები მართლაც სანაქებო გვაქვს, ნადირიც მოგვიმრავლდა. ისე რომ, დავით ბატონო, ვიცი ნადირობა გიყვართ, როდესაც მოგესურვებათ, მზად ვარ თქვენთან ერთად ვინადირო. ახლა ნამგზავრი და დაღლილები ბრძანდებით, თორემ აქედან სულ ახლოს გარეული ღორები მრავლად გვეგულება და შეგვეძლო გვენადირა.

**დავით მეფე.** კარგი აზრია, არავითარ დაღლას არ ვგრძნობ და შეგვიძლია ნადირობით გავირთოთ თავი (ისმის მხიარული შეძახილები. სუფრა აიშალა, ათრაქი და სტუმრები დარბაზიდან გადიან, დავითი რჩება, მასთან მიდის გურანდუხტი).

**გიორგი ჭყონდიდელი.** ხომ არ დაგვესვენა, მეფევ ბატონო? დაღლილი ჩანხართ, ახალგაზრდებმა კი ინადირონ, ჩვენ კი ნამგზავრებმა მოვისვენოთ.

**დავით მეფე.** არა, ჩემო გიორგი, შენ დაისვენე, მე კი ჯერ გურანდუხტს საჩუქარს გადავცემ, შემდეგ ათრაქს სანადიროდ გავყვები.

**გიორგი.** რით ასაჩუქრებ ლამაზ მონადირეს?

**დავით მეფე.** წიგნით, რომელიც მუდამ თან მახლავს. ეს სამო-ციქულოა, ჩვენს რჯულზე უნდა მოვაქციო ყივჩალის ქალი.

**გიორგი.** ყივჩალის ქალის გაქრისტიანება არ უნდა იყოს ადვი-ლი საქმე, მაგრამ შეეცადე, მეფევ ბატონო, იქნებ გამოგივიდეს რამე (და სიცილით გადის დარბაზიდან. რჩებიან გურანდუხტი და დავითი).

**დავით მეფე.** (იგი თავის ნივთებიდან იღებს წიგნს და გურან-დუხტთან მიღის) ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როდესაც დედამ წიგნის კითხვა შემასწავლა. პირველი წიგნი, რომელიც მე წავიკითხე, ეს იყო „სამოციქულო“. იგი მინდა შენ გაჩუქო, მე მას მუდამ თან დავატარებ, როგორც ცოდნის უშრეტ წყაროს.

**გურანდუხტი.** დიდი მადლობა, მეფევ ბატონო, იგი ალბათ ძალზედ საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცი კითხვა ქართულად.

**დავით მეფე.** აი, ლაპარაკი ხომ ისწავლე, წიგნის კითხვასაც ისწავლი. ეს წიგნი ქრისტიანულ რელიგიაზე არის. დიდიხნის წინათ ქრისტე ღმერთი ქალწულმა მარი-ამმა შვა და ქვეყანას მოევლინა იგი, რომელმაც ქრის-ტიანობა იქადაგა და იგი მსოფლიოს მრავალ ქვეყა-ნაში იწამეს. ჩვენც, ქართველებმაც, ვიწამეთ ჯერ კი-დევ მირიან მეფის მეფობის დროს. მას შემდეგ ამ რელიგიამ ჩვენს ქვეყანაში მწიგნობრობა და კულტუ-რა განავითარა, დაინერა მრავალი წიგნი და აშენდა მრავალი ეკლესია.

**გურანდუხტი.** ახლა სად არის ქრისტე ღმერთი ან რა არის ეკ-ლესია?

**დავით მეფე.** ქრისტე ღმერთი ბოროტმა ადამიანებმა საშინ-

ლად აწამეს და ჯვარზე გააკრეს. მან ამით იტვირთა კაცობრიობის მთელი სიმძიმე და გარდაიცვალა, მაგრამ მესამე დღეს ამაღლდა ცაში, და კაცობრიობას იქიდან აფრქვევს სიკეთესა და სიყვარულს. ეკლესია წმიდა ადგილია, სადაც ადამიანები სანთელს ანთებენ და ლოცულობენ, ცოდვებს მოინანიებენ.

**გურანდუხტი.** ჩვენი ღმერთები კი მიწაზე არიან, ყველგან შეხვდები მათ. გვყავს ცის ღმერთი, წყლის ღმერთი, ტყის ღმერთი, ნადირობის და სხვა. ისინი კეთილ ადამიანებს ეხმარებიან, ბოროტებს კი ანადგურებენ. თქვენი ეკლესიები ლამაზია?

**დავით მეფე.** ეკლესიები ჩვენი ძალიან ლამაზია, იქ ყოველთვის ხალხმრავლობაა, განსაკუთრებით დღესასწაულებზე. ეკლესიების კედლებზე წმინდანებია გამოსახული, კედლებზე ხატებიც ჰყიდია, ხოლო ქრისტეს გამოსახულება ჯვარზე არის გაკრული. მე ჩემს ქვეყანაში ბევრი ეკლესია ავაშენე, ახლაც ვაშენებ გელათის ტაძარს.

**გურანდუხტი.** ძალიან მინდა თქვენი ლამაზი ქვეყნის ნახვა, ეკლესიების დათვალიერება. მე გავიგე თქვენ ჩვენი ჯარის წასაყვანად ხართ ჩამოსული, მამას ვთხოვე მათთან ერთად რომ წამოვსულიყავი საქართველოში, მან უარი მითხრა და დააყოლა, რომ იქ ქალებს არაფერი ესაქმებათო. მე გადავწყვიტე ჯარისკაცის ტანსაცმელი გადავიცვა და ისე გამოვიპარო თქვენს ქვეყანაში.

**დავით მეფე.** რატომ გამოპარვითა და მალვით, მე შენ ყველას დასანახად წაგიყვან, ჩემო გურანდუხტ (დავითმა მას ხელი მოხვია და აკოცა. ამ დროს ოთახში ათრაქი შემოდის).

**ათრაქი.** ეს რა ამბავია ჩემს სახლში? როგორ ბედავთ ჩემს შეურაცხყოფას, თქვენ სამბრძანებლოში ხომ არ გგონიათ თავი? (ათრაქი გურანდუხტზე ხელს

აღმართავს, დავითი ათრაქს ხელს დაუჭერს და ეტყვის).

**დავით მეფე.** როგორ ბედავთ ხელის აღმართვას საქართველოს დედოფალზე?

**ათრაქი.** რაო, საქართველოს დედოფალზე, ეს რა მესმის...

**დავით მეფე.** დიახ, მე შენს ქალს ცოლად ვირთავ და იგი მალე საქართველოს დედოფალი გახდება.

**ათრაქი.** დიდება უფალს, მეფევ ბატონო, მე შენს ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ მივესალმები, მაგრამ გურან-დუხტი, ჩვენი წესის შესაბამისად, ბავშვობიდან ჩემს ერთ-ერთ სარდლის ვაჟზეა დანიშნული, თან როგორც ვიცი, შენ ცოლიც გყავს და ტახტის მემკვიდრეც.

**დავით მეფე.** შენ ცხრა ცოლისაგან თოთხმეტი შვილი გყავს და მე მეორის ყოლას მიკრძალავ? ეგ რა სამართალია? იმ შენს სარდლის შვილს სხვა გააყოლე, მე კი გურან-დუხტს წავიყვან და ბედნიერად ვიცხოვრებთ. მას იქ, საქართველოში, არაფერი მოაკლდება, ჩვენც დავმოყვრდებით და ურთიერთის დახმარებას უფრო შევძლებთ. განა რა არის ამაში ცუდი? ტახტის მემკვიდრეს დედინაცვალი ეყოლება და მემკვიდრის შეძენის შემთხვევაში, ტახტი უფროსისაა, შემდგომ უმცროსზე გადავა, ამას მე ანდერძით გავაფორმებ.

**ათრაქი.** ბედნიერები იყავით, ჩემი შვილებო, სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს თქვენი მეგზური მუდამ, გფარავდეთ ღმერთი (იგი მიდის დავითთან და გურანდუხტთან და ლოცავს). ჯარი ხომ მიგყავს, ესეც არ იკმარე და ქალიც წამართვი არა? მეფევ ბატონო, მეც ჩამოვალ თქვენსას და მერე გაგისწორებ ანგარიშს (ორივე იცინის).

**დავით მეფე.** წამოდი შენც, ათრაქ! აქ რა გაკავებს, მტრებით გარშემორტყმულს?

**ათრაქი.** აქ ჩემი მამა-პაპა ომობდა და სისხლი დაღვარა, აქვეა მათი საფლავები, მეც ჩვენს ადათს მივყვები, მალე

მთელი ჩვენი ტომები გავერთიანდებით და რუსები ვეღარ დაგვამარცხებენ. შენთვისაც ერთგული მოკავშირეები ვიქწებით და ყოველთვის მზად ვიქ-წებით მეგობრობის ხელი გამოგინოდოთ. ჩვენ თითქოს ყველაფერი გადავწყვიტეთ, მაგრამ გურან-დუხტს რატომ არაფერს ვეკითხებით? იქნებ ის სხვა აზრისა არის?

**გურანდუხტი.** მე ბედისწერით მქონდა განსაზღვრული სა-ქართველოში ცხოვრება. მე ეს ჯერ კიდევ ბავშვობაში მიმკითხავა მკითხავმა, და ახდა კიდეც, დავინახე თუ არა დავითი, მივხვდი, რომ იგი ის იყო, ვისაც მთელი ცხოვრება ველოდი. სიტყვას გაძლევ მამა, რომ არ შეგარცხვენ და დავით მეფის ლირსეული მეუღლე და ერთგული მეგობარი ვიქწები.

**ათრაქი.** ღმერთის ნებით ისე მოხდა, რომ დავმოყვრდით და როგორც სიმამრი შენ დაქირავებული ჯარის მაგივ-რად რჩეულ ლაშქარს გაგაყოლებ თავის ოჯახებით. ისინი იქ, საქართველოში, დაასახლე, სადაც სამუ-დამოდ დამკვიდრდებიან. მიეჩვევიან ქართულ ადათ-წესს, თან ლაშქარსაც შეგივსებენ. რამდენ ლაშქარს ვარაუდობ წასაყვანად? ან შესძლებ კი მათ განსახ-ლებას შენს მიწაზედ?

**დავით მეფე.** ეგ კარგი აზრია, მათთვის დასასახლებელ მიწას გამოვნახავთ. ვფიქრობ ორმოცი ათასი ოჯახი შემიძ-ლია დავაბინავო.

**ათრაქი.** ორმოცი ათასი ყივჩალის ოჯახი, ეს ორმოცი ათასი მეომარია, ყველა ოჯახი თითო მეომარს მოგცემს და ლაშქარიც შეგროვდება, ეს კი დიდი ძალაა ისეთი ნი-ჭიერი მხედართმთავრის ხელში, როგორიც თქვენა ხართ. ყივჩალი მეომრები კი თავად იცი, როგორი მებრ-ძოლები არიან, ქართველებს არ ჩამოუვარდებიან.

კეთილი, მე თანახმა ვარ ორმოცი ათასი ყივჩალი ოჯახი საქართველოში წამოვიდეს, მომთაბარე

ცხოვრებას ისინი ერთ ადგილზე სახლობას არჩევენ, გაეცნობიან თქვენს მეურნეობას და კმაყოფილი დარჩებიან. ერთ კვირაში ისინი მზად იქნებიან წამოსასვლელად. ეხლა კი მოვილებინოთ, ჩემო სიძევ (იგი დავითს გადაეხვევა, შემოდის ამ დროს გიორგი ჭყონდიდელი).

**დავით მეფე.** მოდი, მომილოცე, ჩემო აღმზრდელო. მე და გურანდუხტი მალე საქართველოში ჯვარს დავიწერთ და იგი ჩემი მეუღლე და საქართველოს დედოფალი გახდება.

**გიორგი ჭყონდიდელი.** გილოცავ, მეფევ ბატონო (იგი დავითს გადაეხვევა). შენი გადაწყვეტილება ბრძნული და წინ-დახედულია. ჩრდილოეთით მუდამ იმედად ყივჩაღები გვეყოლებიან, დღეიდან ეს ნათესაური კავშირით იქნება განმტკიცებული.

**დავით მეფე.** გიორგი, ხვალ ლაშქარს გაიყოლებ და დარიალის ციხეებს დაიკავებ, ოსის მთავრებს დაიბარებ, ათრაქი თავის ვაჟიშვილებს გამოგაყოლებს, ოსები და ათრაქის შვილები პირობით მძევლებად გვეყოლებიან, რომ ნდობა გავამყაროთ ოჯახს დარიალის გავლით საქართველოში შევიყვანთ.

**გიორგი ჭყონდიდელი.** კეთილი, მეფევ ბატონო, დღესვე შეუდგები თქვენი ბრძანების შესრულებას. ორმოცი ათასი ოჯახი ორმოცი ათასი ჯარისკაცია, საქართველოში ოცი ათასიანი ლაშქარი გველოდება და სამოცი ათასი ჯარისკაცი კი უკვე დიდი ძალაა თქვენნაირი მხედართმთავრის ხელში. ახლა კი თურქ-სელჩუკებს კუდით ქვას ვასროლინებთ. (ყველანი მხიარულობენ, ერთმანეთს ულოცავენ ახალგაზრდების ბედნიერებას).

პირველი მოქმედების დასასრული.

# მეორე მოძრავება

## სცენა №5

საქართველო. დავით მეფის სასახლე. სასახლის დიდ დარბაზში მრავლად არიან ქართველი დიდებულები, სამეფო ტახტზე ზის დავით აღმაშენებელი, მის გვერდით გურანდუხტ დედოფალი. დგანან დედოფალი მარიამი, ტახტის მემკვიდრე დემეტრე, მეფის ერთგული თანამებრძოლნი და სხვადასხვა ქვეყნის ელჩები.

**დავით მეფე.** დღეს ჩვენი ქვეყანა ის აღარ არის, რაც იყო რამდენიმე წლის წინათ, ჩვენ შევძელით თურქ-სელჩუქთა წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან გამარჯვებათა მოპოვება. ყოველივე ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ყივჩალების ჩამოსახლებამ, ისინი ძირითადად ქართლს-კახეთის სხვადასხვა კუთხეებში განვასახლეთ, სულ 200000 სული, 40 ათასმა ოჯახმა თითო მეომარი მოგვცა, ამრიგად, ახლა, ჩვენ, საკუთარი მონა-სპის ჩათვლით, 55 ათასი მეომარი გვყავს, ყივჩალები კარგი მეომრები და მშრომელი ხალხი გამოდგა, მათ მიიღეს ქრისტიანობა და ისწავლეს ხვნათესვა, ვენახის მოშენება და მოვლა, მესაქონლეობა. საქართველო ევროპისა და წინა აზიის დიდ სახელმწიფოდ გადაიქცა. მას ანგარიშს უწევენ როგორც მტრები, ისე მოყვრები. ჩვენ ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან მეგობრული და ნათესაური ურთიერთობების დამყარება გვინდა, ამიტომ მე შევიწყნარე შირვანის ხელმწიფის, მანუჩერ მეორის თხოვნა და დავთანხმდი, რომ ცოლად მოეყვანა ჩემი ასული თამარი, ასევე შევიწყნარე ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენოსის თხოვნა და რძლად მივეცი ჩემი მეორე ასული – კატაი. ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდ-

ინარეობს ჯვაროსნული ომები, ევროპიდან ქრისტიანული სახელმწიფოების ლაშქრები ჯვრითა და მახვილით მიდიოდნენ ურჯულო თურქებისაგან პალესტინის წმინდა მიწის დასახსნელად.

1098 წელს ჯვაროსნებმა აიღეს ანტიოქია, 1099 წელს იერუსალიმი, დაარსდა იერუსალიმის ჯვაროსანთა სამეფო, რომელმაც მეგობრული ურთიერთობა დაამყარა საქართველოსთან. ჩვენი მიზანია თურქთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა და ჩვენ ვიწყებთ გადამწყვეტ ბრძოლას თურქთა წინააღმდეგ. ამ მნიშვნელოვან ჟამს, სამწუხაროდ, ხელიდან გამოგვეცალა ჭეშმარიტი მამულიშვილი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე გიორგი ჭყონდიდელი, რომლის სახელს უკავშირდება ჩვენი მნიშვნელოვანი წარმატებები, მის მავივრად მე იმავე თანამდებობაზე დავნიშნე სვიმონ ჭყონდიდელი. იგი არის გიორგის დისწული, კაცი განსწავლული და ბრძენი. მინდა მას ვთხოვო, მოგვახსენოს ჩვენი ბოლო ლაშქრობების შედეგები.

**სვიმონ ჭყონდიდელი** (მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი, ძალზე ჰგავს გარეგნობით გიორგი ჭყონდიდელს).

1120 წელს თურქთა უზარმაზარი ურდო საქართველოში შემოიჭრა და ბორტიასთან დაბანაკდა, ჩვენმა ლაშქარმა მტერი იქ სასტიკი დამარცხება აგემა, შემდგომ ქართველთა ლაშქარი შირვანს გადავიდა და ქალაქი ყაბალა აიღო, კავკასიის მისადგომებთან მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები დაიკავა: ლაზანი, ქურდევანი, ხიშტალანთი, მტერი განადგურებულ იქნა აშორნიაშიც. იღღაზის სატახტოს ალეპოსაკენ გზა ხსნილი იყო, მაგრამ მსტოვარმა გვაცნობა, რომ ზურგიდან თურქი ურდო გამოიჭრა, ამიტომ მტერს ჩვენი ლაშქარი სევტელძეჯთან წამოენია და სასტიკად დაამარცხა. ამ წელს, მეფევ

ბატონი, თქვენი ხელმძღვანელობით ათზე მეტი ომი მოვიგეთ, მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, საშიშროება თურქ-სელჯუკთა მხრიდან ძალზედ დიდია, მაჰადინში, ერაყ-ირანის სულთნის სასახლის კარზე შეთქმულება მზადდება საქართველოს წინააღმდეგ. მუსულმანთა სამყარო ემზადება კოალიციური ლაშქრობისათვის, სულთანთან საჩივლელად მიდიან თურქები ამიერკავკასიიდან, მცირე აზიიდან, შუამდინარეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქალაქებიდან, ისინი ჩივიან საქართველოზე და მის ქრისტიან მეფეზე, ანუ თქვენზე, დიდო მეფეო, სულთანიც მზად არის მათ დახმარება გაუწიოს.

**დავით მეფე.** დღეს ამ დარბაზში არიან მაჰადანიდან ერაყ-ირანის სულთნის მუჰამედის ელჩები, რომლებმაც მისი გამოგზავნილი ფირმანი მომართვეს (იგი მაღლა სწევს დახვეულ ფირმანს) სადაც წერია, რომ მე, საქართველოს მეფემ და ქართველმა ხალხმა ყოველ წელს დიდი ხარკი უნდა გავიღოთ, რათა სულთნის კეთილგანწყობა და მხარდაჭერა დავიმსახუროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში განადგურებით გვემუქრება.

საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ამ უმსგავსობას დღეს ბოლო მოეღება, საქართველო სულთნის მოხარკე ქვეყანა აღარასოდეს იქნება, ხოლო ამ ფირმანს სახალხოდ, ყველას თვალწინ, და სულთნის ელჩების დასანახად დავხევ (იგი ფირმანს ხევს და წინ წარმდგარ სულთნის ელჩებს თავზე აყრის). ახლა კი გადაეცით თქვენს ეშმაკის ნაშიერ სულთანს, რომ საქართველო ამიერიდან წყვეტს მისთვის ხარკის გადახდას და თუ ის გაბედავს ძალით ჩვენი ქვეყნის დამორჩილებას, მას ის ბედი ეწევა, რაც მის გამოგზავნილ ფირმანს, ახლა კი სულთნის ელჩებმა დაუყოვნებლივ დატოვონ სასახლის კარი და საქართველო

(მეფე სელს კარიცკენ იშვერს, ელჩები დახეულ ფირმანს აიღებენ იატაკიდან და დარბაზიდან ხოხვით გადიან).

## სცენა №6

მაპადანი. ერაყ-ირანის სულთნის მაპმუდის მდიდრულად მორთული სასახლე. სასახლის დიდი დარბაზი, აგვისტოს თვეა, სასახლეში ცხელა. სულთანი დარბაზის თავში ოქროსფერ აბრეშუმის ბალიშებზე ზის. მასთან მიახლოება მხოლოდ თეთრი მარმარილოს კიბით შეიძლება, მის უკან ახალგაზრდა მონაზანგი ქალი დგას, რომელიც ნახევრად შიშველია, მას ხელში ფარშევანგის ბუმბულებისაგან გაკეთებული დიდი მარაო უჭირავს და სულთანს დიდი მონდომებით უნიავებს. სულთანს თეთრი სამოსი აცვია, ფეხები ერთმანეთზე აქვს გადადებული, თავზე ძვირფასი ქვებით შემკული ქუდი ახურავს, რომელსაც შუაში დიდი ალმასი ამშვენებს. სულთანს დიდი, გადაგრეხილი შავი ულვაშები აქვს, მკერდზე მას ოქროს ხუთქიმიანი მოელგარე ვარსკვლავი უკიდია, მას ნინ თევზე უდევს ფლავი, რომელშიც ვირის მოხარშული ხორცის ნაჭრებია, ეს მისი საყვარელი საჭმელია, რომელსაც მადიანად ხელით შეექცევა. ქონიან ტუჩებსა და ულვაშებს დრო და დრო ხელით იწმენდს და ვერცხლის თასით წითელ სასმელს აყოლებს, რომელსაც ზანგი მოახლე ხშირად უვსებს. იგი ხანდახან გადახედავს მის ქვევით მსხდომ ხელქვეითებს და სტუმრებს, რომლებიც სულთნის მსგავსად ჭამასა და განცხომას მისცემიან. ისინიც ძვირფასი სასმისებით მიირთმევენ სასმელს და სულთანს ლოცავენ. სუფრას ამშვენებს ვერცხლის თასები ბრინჯისა და ქიშმიშის შეკაზმული კერძებით, ხილითა და შაქარყინულით.

სუფრაზე ბატკნის ხორცით მომზადებული კერძები მოიტანეს, სუფრას უსხედან ამირები და დიდებულები, სხვადასხვა ქვეყნების ელჩები, ყველა ხელით ჭამს, ბარკლებს კბილებით დრღნიან, ძვლებს კი ძაღლებს უყრიან, თითებს ილოკავენ და

აბოყინებენ, სულთანთან ყველაზე ახლოს ზის ილლაზი, ბალდადის მოურავი, შავგვრემანი, შავი, ხშირი გადაბმული წარპებით, მხრებგანიერი, ფიზიკურად ძლიერი შუახნის მამაცაცი, იგიც თანასუფრელთა მსგავსად გლეჯს და ნთქავს ბატკნის ხორცს, ხოლო ძვლებს ძალლებს უყრის, აბოყინებს, ქონიანი თითებით ულვაშებს იგრეხს, შემდეგ ოფლიან შუბლს ინმენდავს და კვლავ აბოყინებს. ნახევრად შიშველ ქალებს ნაირ-ნაირი ხორციანი კერძები მოაქვთ ვერცხლის ლანგრებით. დარბაზის შუაგულში დიდი ხალიჩაა დაგებული, ზედ კი მკერდმოლერებული და განიერთებოდებიანი, გაშიშვლებული, სახეზე ჩადრჩამოფარებული ქალები ნაზი ჰანგების თანხლებით ცეკვავენ. შემოაქვთ სულთნის საყვარელი კერძი – გარეული ვირის მწვადები. ავსებენ სასმელებს. სუფრიდან დგება სულთნის დაახლოებული პირი ჰოსეინი, უხუცესი ტულრის მცველი და ამბობს.

**ჰოსეინი.** ოო, ალაპ! აკურთხე, უფალო, ეს სუფრა, ამრავლე დოვლათი სულთნისა. (სასმელს ყველა სვამის და სულთანს ადლეგრძელებს. სადილი დამთავრდა. რამდენიმე ქალი ოქროს ჯამით და სურით ჩამოივლის და სტუმრებს თბილი წყლით ხელებს აბანინებს. სულთანი ჰოსეინას იხმობს და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს).

**ჰოსეინი.** ერაყ-ირანის დიდი სულთანი ელჩების მიღებას იწყებს. (სუფრა ალაგდა, მოცეკვავეები გავიდნენ, სულთანი ელჩების მისაღებად მოემზადა. წინ წარსდგება თურქი ეჯიბი).

**თურქი ეჯიბი.** დიდო სულთანო, ქართველთა მეფე დავითი სულ გათავსედდა, გვავიწროვებს, მან რამდენჯერმე აგვყარა ქართული მიწიდან და საზღვარს აქეთ ნახირივით გადმოგვდენა. ცოცხლები ძლივს დავრჩით, საქართველოში კი არა, თვით შირვანსა და სომხეთშიც ვეღარ ჩავსულვართ ქართველთა შიშით.

ტფილისის, დმანისისა და განძის სავაჭრო გზებიც დაიკავეს, ქართველები ტფილისის ასაღებადაც ემზადებიან. ქალაქის მუსლიმანური ხელმძღვანელობა დავით მეფეს დიდალ ხარკს უხდის, ყოველწლიურად დაახლოებით ათიათას დინარს, ქართველთა მეფეს ბედი სწყალობს, რამდენი ბრძოლა გადაიხადა და ყოველთვის გამარჯვებული გამოდის.

**სულთანი.** თქვენნაირ დედლებთან რომ ომობს, იმიტომაც წყალობს ბედი, ღირსეულ წინააღმდეგობას ვერ უწევთ, მშიშრები და მოღალატეები ხართ, სიმამაცეს არ იჩენთ. მას ყოველთვის თქვენზე რიცხობრივად ნაკლები ჯარი ჰყავს, მაგრამ გამარჯვებას მაინც ახერხებს. თქვენ ვერ იყენებთ რიცხობრივ უპირატესობას, ეს სამარცხვინოა. მე მხდალებს არ ვეხმარები, რადგან ისინი გამარჯვებას ვერასოდეს მიაღწევენ. მე მათ დაუნდობლად ვანადგურებ. (იგი ანიშნებს მცველს, რომელიც შუბით ადგილზე ჰყლავს თურქ ეჯიბს. მოკლულს გაათრევენ სასახლიდან. შემოდის თურქი მსტოვარი, რომელიც სულთანს ელჩის სახით ყავდა გაგზავნილი საქართველოში ფირმანის გადასაცემად).

**ელჩი.** დიდო სულთანო, თქვენი დავალებით საქართველოში ვიყავი დავით მეფესთან და თქვენი ფირმანი გადავეცი. მან წაიკითხა და პირიდან ცოფები ყარა, ასე მითხრა, შენი სულთნის მოხარკე აღარასოდეს ვიქნებიო, ფირმანი დახია და თავზედ დაგვაყარა. (იგი დახეულ ფირმანს აჩვენებს სულთანს). ასე მითხრა, შენს სულთანს ასევე დაემართება, თუ გაპედავს და საქართველოს მინაზე ფეხს დადგამს (იგი დაიჩოქებს და თავს დახრის სულთნის წინაშე).

**სულთანი.** ამდენს იმიტომ ბედავს ეგ ურჯულო, რომ თქვენ ხართ ვირთხები და სათანადო პასუხს არ სცემთ, იქაც ასევე დავდახრილი იქნებოდი და პასუხს ვერ გასცემ-

დი, მაგრამ მე გაგცემ პასუხს. (იგი ნიშანს აძლევს და მასაც კლავენ მცველები, მკვდარს გაათრევენ დარბაზიდან, სულთანი გაბრაზებული დგება ფეხზე და ამბობს) დადგა უამი იმისა, რომ ყველა თურქმა მახვილი აიღოს ხელში საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად და მის გასანადგურებლად, მინასთან გასასწორებლად. საქართველოს განადგურების შემდეგ აზიაში ჩამოსახლებულ ევროპელ ჯვაროსნებსაც ბოლოს მოვუღებთ. მოვუწოდებ სრულიად თურქულ სამყაროს საქართველოს წინააღმდეგ „საღვთო ომის“ საწარმოებლად. ვბრძანებ მხედრებით საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად გამოცხადდეს: დურბეიზ სადაყის ძე – ევფრატის ქალაქ ჰილას მბრძანებელი, ეთიოპიის, ბალდადის, სპარსეთისა და ინდოეთის ლაშქრობებში სახელგანთქმული სარდალი. (დურბეიზი წინ წამოდგება და სულთანს მდაბლად დაუკრავს თავს და იტყვის).

**დურბეიზი.** მზად ვარ მტერთან საბრძოლველად (და დაჯდება). **სულთანი.** ჩემი ძმა თოლრულ მუჰამედის ძე – ყაზინის, ზენჯანის, გილანისა და განძის ამირა.

**თოლრული.** (წინ წამოდგება, სულტანს თავს მდაბლად დაუკრავს და ამბობს) ალაპის, ჩემი ძმისა და ქვეყნისათვის მზად ვარ გამოვცხადდე ჩემი ლაშქრით ქართველების გასანადგურებლად (და დაჯდება).

**სულთანი.** თურდან არსლან კუზიანი – ბიზლითისა და არზანის ამირა (წინ წამოდგება დაბალი, კუზიანი, მელოტი კაცი დიდი ულვაშებით, მდაბლად დაუკრავს სულთანს თავს და ამბობს).

**თურდან კუზიანი.** მე მზად ვარ ჩემი სულთანისა და ალაპისათვის ურჯულოების წინააღმდეგ საღვთო ომისათვის ჩემს მეომრებთან ერთად დათქმულ დროს გამოვცხადდე მტერთან საბრძოლველად.

**სულთანი.** ქენთ-ოღლი – განძის ათაბაგი.

**ქენო-ოლიი.** (დგება და ამბობს) მე მუდამ თქვენ გვერდით მიგულეთ სულთანო, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ ქართველ ურჯულოთა წინააღმდეგ. (იგი მაღალი, თავმოტვლეპილი კაცია, თავმდაბლად თავს დაუკრავს სულთანს და დაჯდება).

**სომეხი ამირა** (წინ წარსდგება თურქულად ჩაცმული შავ ულვაშებიანი სომეხი კაცი და იტყვის) ჩვენ მზად ვართ, სომეხი ამირები, ქართველთა დასამხობად და გასანადგურებლად, ამისათვის ლაშქარიც მზად გვყავს (და დაჯდება).

**სულთანი.** ჩემი ვარაუდით, 400 ათასი მაჰმადიანი მეომარი უნდა გავაერთიანოთ. ამ უძლეველ არმიას უსარდლებს ასევე უძლეველი და სახელგანთქმული სარდალი ნეჯმ-ად-დინ-ილღაზი, რომელიც არის ბალდადის, მარდინის, ალეპოსა და მაიფარაკნის მპრძანებელი. მან სახელი გაითქვა, როგორც ჯვაროსანთა წინააღმდეგ მებრძოლმა დაუმარცხებელმა სარდალმა. (ილღაზი წინ წარსდგება, სულთნის წინაშე ცალმუხლზე დაიჩოქებს და მდაბლად დაუკრავს თავს).

**ილღაზი.** მზად ვარ, ჩემო სულთანო, პირისაგან მიწისა აღვგავო საქართველო, ხოლო მისი ურჯულო მეფე დავითი ბორკილებ გაყრილი მოგვაროთ. ქუთაისს მიწასთან გავასწორებ თავის ტაძრებით, მოვხნავ და ზედ ბრინჯს მოვიყვან. მის ახლოს ცხვარს მოვაძოვებ, რომ ცხვრისა და ბატკნის ხორცი არ მოგაკლდეთ.

**სულთანი.** მე ილღაზს მთავარსარდლობის ნიშნად გადავცემ ჩემ ხმალს (იგი იხსნის ოქროს ქარქაშიან ხმალს და წელზე შემოარტყამს ილღაზს). ასევე გადავცემ კოალიციური სარდლის სიმბოლოს, ხუთქიმიან ოქროს ვარსკვლავს (იგი მკერდიდან იხსნის ოქროს ხუთქიმიან ვარსკვლავს და ილღაზს მკერდზე უმაგრებს. ილღაზი სულთნის ნაჩუქარ ხმალს ქარქაშიდან იღებს და ამბობს).

**ილლაზი.** სიკუდილი მტერს და გვფარავდეს ალაპი. (ისმის შეძახილები: „გაუმარჯოს სულთანს“, „გაუმარჯოს ილლაზს“, „გვფარავდეს ალაპი“).

## სცენა №7

დიდგორის ველი. 1121 წლის 12 აგვისტო. ილლაზის საბრძოლო ბანაკი, სადაც აღმართულია მისი კარავი. მის წინ დიდგორის ველია გადაშლილი. ილლაზი კარვის წინ დგას საბრძოლო აღჭურვილობით, თავზე რკინის მუზარადი ახურავს, მის გვერდით დგანან საქართველოს წინააღმდეგ გამოყვანილი ჯარების სარდლები.

**თურლან კუზიანი.** ურჯულთა შაითანი მეფე ხაფანგში გვყავს მომწყვდეული, სარდალო, - მას გასაქცევი არა აქვს. როგორც მზვერავებმა გვაცნობეს, მაგ სულელს თვითონ ამოუხერგავს ხეებით უკან დასახევი გზა, ჯარისათვის მიუმართავს მაგ ეშმაკის მიმდევარს. ასე უფრო ადვილად დავამარცხებთო მტერს. სასაცილოა, როგორ აპირებს ჩვენთან ბრძოლას. თურმე 55 ათასი მეომარზე მეტი არ ჰყოლია. აქედან 40 ათასი ქართველია, 15 ათასი ყივჩალი, 500 ალანოსი და 100 ფრანგი ჯვაროსანი.

**ილლაზი.** ჩვენი ძალები ათჯერ აღემატება მათ ჯარს, იქნებ რაღაც ეშმაკობა იმალება აქ, შესაძლებელია რაიმე დამხმარე ძალის იმედი აქვს ქართველთა მეფეს, დაზვერვა რას გვატყობინებს?

**თურლან კუზიანი.** მზვერავებმა კიდევ ერთხელ დაზვერეს მიდამო. ქართველთა რაიმე დამატებითი ძალა არ შეინიშნება.

**ილლაზი.** საოცარია. ერთი რამ კი ცხადია – დიდგორი მათი სამარხი გახდება, ოლონდ ეგ არის ცუდი, რომ ჩემს ჯარს მთელი ძალით გაშლა გაუჭირდება. ჯერ-

ჯერობით ჩემთან კოალიციური ჯარების მხოლოდ მოწინავე რაზმები იმყოფებიან. მთელ ჯარს მხოლოდ ხვალისათვის თუ მოვუყრი თავს.

**თურლან კუზიანი.** იქნებ არც იყოს საჭირო, რომ ჩვენი ლაშქარი მთლიანად მოვიდეს აქ. ისედაც ადვილად გავუმკლავდებით ამ მცირერიცხოვან მტერს, კარგი იქნება ომის დაწყება ბრძანოთ, სარდალო.

**ილლაზი.** დაწყება ადვილია, დამთავრებაა ძნელი. ცოტა მოვიცადოთ, ძალები კიდევ მოვიკრიბოთ, ადგილმდებარება არ მომწონს, უნდა შემოვლითი გზები ვეძებოთ. სასწრაფოდ გაგზავნეთ მზვერავთა რაზმი შემოვლითი გზების დასადგენად.

**თურლან კუზიანი.** კეთილი, ახლავე გავგზავნით მზვერავებს, სარდალო (ამ დროს ილლაზთან ერთ-ერთი სარდალი მიღის და უუბნება).

**სარდალი.** მთავარსარდალო, ქართველ ჯარს ორასი მხედარი გამოეყო. ჩვენსკენ მოდიან, მათ დროშები დაშვებული მოაქვთ. იარაღის გარეშე არიან.

**თურლან კუზიანი.** რას უნდა ნიშნავდეს, ნეტავი, ეს ყოველივე, მე მგონი იმას, რომ გვნებდებიან ან ჩვენს მხარეზე გადმოდიან. ეს კარგი ნიშანია, სარდალო.

**ილლაზი.** მართლაც ეს კარგი ნიშანია, ნინა რაზმები გააფრთხილეთ, რომ ჩვენთან გამოატარონ (მეორე სარდალი მოახსენებს ილლაზს).

**სარდალი.** მტრის 200 მხედარი წინა რიგებს უკვე მოუახლოვდა დაშვებული დროშებით.

**ილლაზი.** მე უკვე გავეცი ბრძანება, რომ გამოატარონ, ისინი მოღალატეები არიან, ჩვენს მხარეს გადმოვიდნენ.

**თურლან კუზიანი.** სარდალო, ქართველთა 200 კაციანი რაზმი გვიახლოვდება რაღაც საეჭვოდ, იარაღი არ ჰქონდეთ დამალული.

**ილლაზი.** რას ამბობ, თურლან, ვერ ხედავ, ჩემს უკან ზღვასავით რომ დგას ჩემი უძლეველი ლაშქარი? ვინ გაბედავს

მათთან იარაღით მოახლოებას (ილლაზის წინ უცბად გამოჩნდება ქართველთა რაზმის მოწინავე მეომრები, ისინი ხუთნი არიან, მათ დაშვებული ქართული დროშები უჭირავთ, ერთ-ერთი მეომარი იკითხავს).

**მეომარი.** მთავარსარდალი ილლაზი რომელია?

**თურლან კუზიანი.** (მიმართავს ილლაზს) მთავარსარდალო, მოდი გავამასხროთ ეს ურჯულოები. ვიტყვი, რომ მე ვარ ილლაზი, ვნახოთ რას იზამენ.

**ილლაზი.** კარგი, წინ წადი და დაელაპარაკე.

**თურლან კუზიანი.** ილლაზი მე ვარ, თქვენ ვინ ხართ და რა საქმეზე მოსულხართ?

**ქართველი მეომარი.** (ყურადღებით ახედ-დახედავს კუზიანს და იტყვის) ჩვენ თქვენს მხარეზე გადმოსული მეომრები ვართ, ჩავთვალეთ, რომ ისეთი ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლას როგორც თქვენია, აზრი არა აქვს. გვინდა თქვენს მთავარსარდალს მნიშვნელოვანი ცნობები მივაწოდოთ ქართველთა ლაშქარზე. მაგრამ ამ ცნობებს მხოლოდ ილლაზს მოვახსენებთ, თქვენ კი მას არ გევხართ, არც მთავარსარდლის ოქროს ვარსკვლავი გიკეთიათ, თანაც კუზიანი ხართ.

**თურლან კუზიანი.** როგორ ბედავთ, თქვენ ეშმაკის ნაშიერნო, ასეთ საუბარს ჩემთან. ახლავე ვუბრძანებ და თავებს დაგაყრევინებთ ყველას.

**ილლაზი.** მთავარსარდალი ილლაზი მე ვარ (იგი წინ წარსდგება და მის მკერდზე ხუთქიმიანი ოქროს ვარსკვლავი აბრჭყვიალდება – სულთანის ნაჩუქარი მთავარსარდლის სიმბოლო). თუ რამე მნიშვნელოვანი ცნობა გაქვთ, სასწრაფოდ მომახსენეთ და ჩემ ფეხებთან დააგდეთ ეგ თქვენი დროშები, თან დაიჩოქეთ.

**ქართველი მეომარი.** (იგი ყურადღებით აკვირდება ილლაზის მკერდზე მოელვარე ვარსკვლავს და რწმუნდება, რომ მის წინაშე მართლაც მთავარსარდალია, იგი დროშას მაღლა ასწევს და იტყვის) ქართულ დროშას მტრის

ფეხებთან დაცემულს ვერვინ იხილავს, სიკვდილი მტერს (ამ შეძახილის შემდეგ იგი დროშას მარცხენა ხელში გადაიტანს და აღმართავს, მარჯვენათი კი ხმალს იშიშვლებს და შესძახებს) ჩვენ ღალატისთვის კი არა, შენს მოსაკლავად ვართ მოსული, მტარვალო, ცოცხალი აქედან ვერ გაგვასწრებ (ილლაზი და მისი სარდლები დაიბნევიან, ზოგი იარაღს წაეტანება, ზოგი კი საშველად უხმობს ჯარს, მაგრამ უკვე გვიანაა, ქართველი მეომრები დაერევიან მათ და სარდლობას ამოხოცავენ, ილლაზი ხმლის ამოღებას მოასწრებს, მაგრამ ერთ-ერთი ქართველი მეომარი დიდ რკინის ეკლიან კომბალს ჩასცხებს თავში და დაარეტიანებს, მასთან მისი მეომრები მივარდებიან და თავგასისხლიანებულს მუზარადგადმოვარდნილს გაათრევენ, იგი ამ დროს ყვირის).

**ილლაზი.** თავი გამიტეხეს ამ ურჯულოებმა, მიშველეთ, ჩქარა წამიყვანეთ აქედან, ვაი ბაშკა, ვაი ბაშკა, ვაი ბაშკა.

**თურლან კუზიანი** (ხმალს იქნევს და ამბობს) ხომ გეუბნებოდით, რომ ეს ქართველები რაღაცას ეშმაკობდნენ, ხედავთ, რა ჩაიდინეს? მთავარსარდალი თავში დაგვიჭრეს, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს (მაგრამ მას აღარ დააცლიან ლაპარაკს, ქართველი მეომარი მას ხმალს კუზში ჩასცემს და განვმირავს. შემდეგ თავის მეომრებს მოუწოდებს).

**ქართველი მეომარი.** ქართველნო, მუსულმანთა მთავარსარდლობა განადგურებულია, ილლაზი თავშია სასიკვდილოდ დაჭრილი, ჩვენ უკან დასახევი გზა არა გვაქვს, წინ მუსულმანთა უდიდესი ურდო დგას, ჩვენ მათ შევაკვდებით და ძირითად ჩვენს ჯარს დროს მივცემთ წარმატებითი შეტევისათვის. სამშობლოსათვის სიკვდილი უდიდესი ბედნიერებაა, მომყევით, ძმებო (და ისინი გაშლილი ქართული დროშებით მტერს სასიკვდილოდ ეკვეთებიან).

## სცენა №8

დავით მეფის სასახლე. დარბაზი დიდებულებით არის სავსე.

**კარისკაცი.** მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, ჰერთა, სომებთა და შირვანშაპთა დავით IV ბაგრატიონი. (სასახლეში შემოდიან მეფე და დედოფალი გურან-დუხტი. მათ მოყვებიან შვილები: თამარი, კატაი, ცვატი, დემეტრე, დედოფალი მარიამი, სვიმონ ჭყონდიდელი და სხვა დიდებულები. (მეფე და დედოფალი სამეფო ტახტზე ჯდებიან. მათ გვერდით შვილები დგანან).

**სვიმონ ჭყონდიდელი.** დიდგორის ომი ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, თურქთა უზარმაზარი არმია სრულიად განადგურდა, ჩვენმა მხედრებმა რვა დღე სდიეს და ხოცეს ურჯულოები, გადარჩენილებს ტყეში ნადირივით სდევდა მოსახლეობა. თურქთა მთავარსარდალი სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი თავში და იგი მისმა სიძემ დურბეიზმა ბრძოლის ველს გაარიდა.

200 ქართველმა გმირმა, რომლებიც თქვენ შეარჩიეთ, მეფევ, ბრწყინვალედ შეასრულეს დავალება და მტრის მთავარსარდლობა მთლიანად ამოხოცეს, მათ ბრძოლის მოგება გაგვიადვილეს. ჩვენს გამარჯვებულ ქართველ ლაშქარს უამრავი ნადავლი ჩაუვარდათ ხელში, ჯორებზე და აქლემებზე აკიდებული ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ჭურჭელი და იარაღი, ყოველივე ეს სიმდიდრე თქვენის ბრძანებით, დიდო მეფევ, შენირული იქნა გელათის მშენებარე მონასტრისათვის. დიდგორის ძლევამოსილმა ომმა მთელი მსოფლიო შეაზანზარა. ასე მცირერიცხოვანი ჯარით ურიცხვი მტრის განადგურება არვის სმენია და არც წაუკითხავს. თვით ალექსანდრე მაკედონელ-

საც კი შეშურდებოდა ქართველების გამარჯვება, დიდგორის მაღალ მთას ხალხმა „დავითის მთა“ უწოდა, ხოლო ამიერიდან საქართველოს დროშას გორგასლიან-დავითიანი დაერქვა. დიდგორში დაკრძალულ იქნენ ომში დაღუპული ქართველი მეომრები. მრავალმა ქართველმა მუჭით დიდგორის სისხლით გაუღენთილი მინა მიაყარა სამარხს და აღიმართა დიდი ბორცვი ძმათა სასაფლაოსი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის სატახტო ქალაქ თბილისის დაბრუნებას. იგი ოთხასი წელი იმყოფებოდა არაბ დამპყრობთა ხელში. დღეს იქ მცხოვრები მაჰმადიანები ქართველებზე მეტი შეღავათებით სარგებლობენ, რაც ქრისტიანების გულისწყრობას იწვევს. 1123 წელს აღებულ იქნა დმანისი, რითაც დასრულდა საქართველოს გაერთიანება. ერთიანი საქართველოს ტახტი ქუთაისიდან თბილისში იქნა გადატანილი. 1123 წელს მუჰამედი შეეცადა შირვანი აელო და ამით სამაგიერო გადაეხადა დიდგორში დამარცხების გამო. მან თავხედური წერილიც კი გამოგზავნა. იგი წერდა დავით მეფეს „შენ ტყეთა მეფე ხარ და ველზე გამოსვლა ვერ გაგიბედავს. სამალავიდან გამოდი და პირადად შემხვდიო“. დავით მეფის ჯარის გამოჩენისთანავე იგი შიშით აკანკალდა და შემახის ციხის ბინძური ხვრელიდან ქალის ტანსაცმელში გადაცმული გაიპარა (დარბაზში სიცილი ისმის). ასევე დიდი მშნიშვნელობა ჰქონდა სომები ხალხის დასახმარებლად მოწყობილ ლაშქრობას, მეფევ, თქვენ 60 ათასიანი ქართული ჯარით ანისი სამ დღეში აიღეთ და ანისის ტაძრის აღმშენებელი ბერძენი დედოფლის – კატრონიკეს საფლავში სამჯერ ჩასძახეთ: „გიხაროდეს შენ, წმინდაო დედოფალო, რამე თუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უფლისა ხელთაგან“. ამიერიდან ქართველ

ხელმწიფეს ენოდება – მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა. ჰერთა და სომეხთა, და დაემატოს მას შირვანშაპი. დავით მეფეს მადლიერმა ქართველმა ერმა უწოდა დავით აღმაშენებელი. დავით აღმაშენებელმა ოცნლიანი ომები წარმატებით დაასრულა, მან შექმნა ერთიანი მძღვრი სახელმწიფო ნიკოფისი-იდან დარუბანდამდის და ოვსეთიდან არაგანამდის. გაუმარჯოს დავით აღმაშენებელს! (ისმის ტაში და შეძახილები „გაუმარჯოს დავით აღმაშენებელს!“).

**დავით აღმაშენებელი.** ტახტიდან დგება და ჩამოდის ქვემოთ თავის (სარდლებთან). ყოველივე ღვთის ნებით ხდება, მე მხოლოდ მისი ნების აღმსრულებელი ვარ, ღმერთს სურდა, რომ საქართველო გადარჩენილიყო და საქართველო გადარჩა. ჭეშმარიტი, ქრისტიანული რწმენა და ერის ერთობა უძლიერესი იარაღია მტერთან საბრძოლველად, რომელიც ჰქონდა, აქვს და მომავალშიც ექნება ჩვენს ქვეყანას, ამიტომ ეს ჭეშმარიტება კარგად უნდა შეითვისონ მომავალმა თაობებმა. თურქობა ყველაზე დიდი საფრთხე იყო საქართველოსათვის, ისინი არ ჰგავდნენ სხვა დამპყრობლებს, ისეთებს, როგორიც იყვნენ პომპეუსი, მურვან-ყრუ, ბულა-თურქი ან აბუ-ყასიმი. ისინი შემოესეოდნენ საქართველოს, ძარცვავდნენ, ხოცავდნენ მოსახლეობას და მიდიოდნენ. მათგან განსხვავებით თურქები მოდიოდნენ და მათ მოყვებოდათ ცოლ-შვილი კარვებით, საქონლით, ჩვენი მიწა მათ-თვის შესანიშნავი გარემო იყო მათი მესაქონლეობისათვის, რომლის გარდა არაფერი იცოდნენ. ოცი წლის მანძილზე სამოცზე მეტი ბრძოლა გადავიტანეთ, რამაც განაპირობა კიდეც ჩვენი გამარჯვება თურქ-სელჩუკებზე.

**სვიმონ ჭყონდიდელი.** თბილისის მოსახლეობა უკმაყოფილო არის, რადგან მაპმადიანები სათანადოდ არ დაისაჯ-

ნენ. იყო დრო, როცა მაჰმადიანები ტანჯავდნენ ქრისტიანებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამაგიერო ახლა ქრისტიანებმა უნდა გადაუხადონ და დასაჯონ ისინი. პირიქით, ქრისტიანული რელიგია მიმტევებელი რელიგიაა და ჩვენ მტერიც უნდა გვიყვარდეს.

**დავით აღმაშენებელი.** თბილისში ქრისტიანებმა მაჰმადიანთა უბანში ლორი არ უნდა დაკლან და არც მათ აბანოში იბანაონ. მაჰმადიანებს მე ნება მივეცი, ყოველ პარასკევს ილოცონ ხალიფასა და სულთნის სახელზე. ყოველწლიური გადასახადი ქრისტიანებმა 5 დინარი უნდა გადაიხადონ, ებრაელებმა - 4, ხოლო მაჰმადიანებმა - 3. ჩვენს ქრისტიანულ სახელმწიფოში მაჰმადიანები, ქართველები, ებრაელები, სომხები და სხვა ერის წარმომადგენლები თანასწორ მოქალაქეებად ცხადდებიან. მე ჩვენს გასანადგურებლად შემოჭრილ თურქობას ვებრძოდი და არა მათ რელიგიას. მე კარგად ვიცნობ როგორ ქრისტიანულ, ასევე მაჰმადიანურ ლიტერატურას, ბიბლიასა და ყურანსაც, გავეცანი მეცნიერების სხვადასხვა დარგებს. ყოველივე ეს მაძლევდა ცოდნას, რომელიც შემდგომში გამომადგა ჩემი ქვეყნის აღმშენებლობაში. ამჟამად დიდ ყურადღებას ვაქცევ გელათის ტაძრის მშენებლობას. ჯერ კიდევ 1106 წელს, ქუთაისის მახლობლად, გელათში დავიწყე ერთდროულად მთავარი ტაძრის აშენება და სამეცნიერო აკადემიისა, ასევე ვაშენებ სამკურნალო დაწესებულებას, სადაც იმკურნალებენ სწეული ადამიანები, დავაპურებ ქვრივ-ობლებს და უპატრონობებს ჩავაცმევთ და დავახურავთ. გელათი უნდა იქცეს დიდ კულტურულ ცენტრად, სადაც მე მოვინვიე სხვადასხვა ქვეყნიდან სწავლული თანამემამულენი. მათ შორის არიან გამოჩენილი ფილოსოფოსები და მოაზროვნენი: იოანე პეტრინი, არსენ

იყალთოელი (წინ წარსდგებიან ეს ორი პიროვნება თეთრ წვერებში და მდაბლად დაუკრავენ თავს მეფეს). არსენმა ჩემი დავალებით კახეთის ულამაზეს სოფელ იყალთოში ააშენა ტაძარი, უმაღლესი სასწავლებელი იყალთოს აკადემია. ჩვენივე ძალის-ხმევით ქართლში, შიო-მღვიმის სავანეში მაღე შეიქმნება მესამე დიდი კულტურული ცენტრი. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებზეც. დღეს, მეგობრებო, ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენი ქვეყნის ავსა თუ კარგზე და ამით დღევანდელი დარბაზი დამთავრებულია. ვთხოვ დარჩნენ მშენებარე ეკლესია-მონასტრებზე დაწვრილებით სასაუბროდ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, სვიმონ მწიგნობართუხუცესი, დედოფლები გურანდუხტი და მარიამი, უფლისწულ დემეტრე და მემატიანე აბულეთი (სხვები გადიან დარბაზიდან).

**დავით მეფე.** სამეფო ხაზინიდან გამოყავით თანხა, ბატონო სვიმონ, რათა ავაშენოთ და გავაძლიეროთ მონასტრები საბერძნეთში, ასურეთში, კვიპროსში, პალესტინასა და იერუსალიმში, ქართული კულტურისა და განათლების კერების გასამტკიცებლად. სინას მთაზე მონასტრისათვის დამატებით გამოყოფილობა და ვერცხლი და დამატებით გავგზავნოთ წიგნები.

**სვიმონ ჭყონდიდელი.** ჩვენ უკვე მზად გვყავს გასაგზავნად ვაჭართა დიდი ქარავანი, რომლებიც აღნიშნულ ადგილებს მოინახულებენ. ხაზინიდან გამოყოფილია საჭირო თანხა ამ მოგზაურობისათვის.

**იოანე პეტრიწი.** მეფევ ბატონო, ჩვენი ახალგაზრდები იღებენ განათლებას ჩვენთან, საქართველოში, მაგრამ მათი სრულყოფილი ცოდნის მისაღებად ურიგო არ იქნება გავგზავნოთ ჭაბუკები უცხოეთის სასწავლებლებშიც.

**დავით მეფე.** თანახმა ვარ, სასწავლო თანხა გავიღოთ ხაზინიდან, თუ ისინი განსწავლულები საქართველოს დაუბრუნდებიან და არ დარჩებიან იქ სამუშაოდ და საცხოვრებლად, ჩვენ დასაკარგი ყმანვილები არ გვყავს. ახლა კი, დიდი სურვილი მაქვს, გავემგზავროთ გელათს და თავად დავრწმუნდეთ, როგორ მიღის მშენებლობა იქ. (ამით თათბირი დამთავრდა, ყველა გადის დარბაზიდან).

## სცენა №9

მეფის სასახლე. საძირებელ ოთახში, მოოქროვილ საწლში დავით აღმაშენებელს სძინავს, მის გვერდით სხედან დედოფლები მარიამი და გურანდუხტი, გვერდით დგას მემატიანე აბულეთი.

**მარიამ დედოფალი.** როგორ მოუვიდა, დედოფალო გურანდუხტ, მეფეს ეს მარცხი? გვიამბეთ.

**გურანდუხტ დედოფალი.** გელათის ტაძარში ვიყავით მე და დავით მეფე, თან ხუროთმოძღვარი გვახლდა. დავითი მშენებარე გუმბათზე ავიდა, იქიდან უნდოდა გადმოეხდა ტაძრისათვის, შემთხვევით ფეხი დაუსხლტდა და მეფე ჩამოვარდა. ძლივს წამოაყენეს და სასახლემდე საკაცით მიიყვანეს. ნეტა მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყავი, ოღონდ მას არ მოსვლოდა რამე.

მკურნალნი ბევრი დავახვიეთ, მაგრამ ვერაფერს შველოდნენ, ბოლოს ერთმა მკითხავმა მკურნალ ავშანდაძესთან მიგვაგზავნა, იმ დალოცვილმა დავით მეფე თოთხმეტი ფურ-ირმის ნაწველ რძეში ჩააწვინა, მხოლოდ ამის შემდეგ იგრძნო დავითმა თავი უკეთესად, უფლის წყალობით სიკვდილი განიდევნა მისი ჯანმრთელი სხეულიდან.

**მარიამ დედოფალი.** მეფე დავითის მტრებმა უკვე წამოყვეს თავი, გაუხარდათ მისი მარცხი, იქნება გვეშველოს და განთავისუფლდეთ მეფის რეინის ხელისაგანო. კიდევ მრავალად არიან ვერაგი, დაუნახავი ადამიანები ქვეყანაზე, ამდენი სიკეთის მქნელმა მეფემ მაინც ვერ აღმოფხვრა ადამიანებში ბოროტება. ლიპარიტთა და ძაგან ერისთავთა მსგავსნი აღარ გამოილია საქართველოში.

**აბულეთი.** ზოგიერთი ქართველი დიდებული რომ გამდიდრდება და გასუქდება, იწყებს ბოროტ საქმეებზე ფიქრს. ისინი მეფეს ბრალს სდებენ, ვისაც შეიყვარებს, იმასვე განადიდებსო, ხოლო თუ შეიძულებს, იმას არ გაახარებსო. სულ ომში გვამყოფებს და ჯაფაში გვატარებინებს დროსო. ეს იმას ჰგავს, სპილოს რომ ჰკითხო, რად ხარ სპილო, ასეთი დიდი და ძლიერი? ჩვენ გვინდა შენ თაგვად იქცეო. ჩვენს კურთხეულ მეფეს სიკვდილი კი მუდამ გაურბოდა ბრძოლის დროს, მაგრამ შინაურთა ხელიდან ღალატით ნასროლმა ისარმა კინალამ იმსხვერპლა მეფე ბატონი, რომ არა მთავარანგელოზის ოქროს ხატი, რომელიც მას მაშინ მკერდზე ეკიდა, ვერ გადარჩებოდა. ხატზე ეწერა: „ღმერთო, ყოვლისა დამბადებელო, ადიდე შენ მიერ გვირგვინოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე – მზე ქრისტიანობისა. ამინ“. ისარი ამ ხატს მოხვდა და მეფე გადაარჩინა.

**მარიამ დედოფალი.** ერთხელ, მეფე კიდევ გადაურჩა სიკვდილს, იგი მუხრანის ტყეს მიუყვებოდა ცხენზე ამხედრებული, თან წიგნს კითხულობდა. ძალლების ყეფამ გამოაფხიზლა და ისიც ირემს გამოუდგა. მან მშვილდი მოზიდა და ცხენი მოსხლიტა, მაგრამ ხრამი კი ვერ შენიშნა და ცხენი ხრამის ნაპირს მიენარცხა, უნაგირიდან გამოვარდნილი მხედარი შორს დაეცა,

მაგრამ გადარჩა. სამი დღე სისხლს აღებინებდა, მაგრამ სიკვდილმა უკან დაიხია და დავით მეფე გადარჩა. იმედია ამჯერადაც ღმერთმა კეთილი თვალით გადმოხედა.

**დავით აღმაშენებელი.** გურანდუხტ, სადა ხარ? (იგი თავს წამონევს). წყალი დამალევინე. (გურანდუხტი დგება და მაგიდაზე მდგარ დოქიდან წყალს ჭიქაში ჩამოასხამს და მეფეს მიანვდის, რომელიც წყალს შესვამს და თვალს გადაავლებს იქ მყოფ ადამიანებს). რა გულზედ ხელი დაგიკრეფავთ, ჩემო ძვირფასებო, ნუ სწუხართ, მე უკვე კარგად ვგრძნობ თავს, ალარაფერი მჭირს, მალე წამოვდგები.

**გურანდუხტი.** ჯერ ადრეა მაგაზე ფიქრი, ჩემო ბატონო, მკურნალმა თქვა, მხოლოდ ათი დღის შემდეგ წამოდგესო.

**დავით მეფე.** მე, ალბათ, არც ისე დიდი დრო დამრჩა სიცოცხლისა, გასაკეთებელი ძალზედ ბევრია, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ახლა დროა. ბოლო დროს ფიქრი არ მასვენებს ანდერზე, მასში შესწორება მინდა შევიტანო. გთხოვთ დამიძახოთ სვიმონ ჭყონდიდელი, უფლისწულ დემეტრეს და ცვატა.

**აბულეთი.** ისინი გარეთ იცდიან, მეფევ ბატონო, ახლავე სამივეს აქ გაახლებთ (იგი მიდის და მათთან ერთად ბრუნდება).

**დავით მეფე.** არ მსურს სამეფო ტახტი უმემკვიდრეოდ და უწილოდ დავტოვო. მინდა ყველას თავისი მოგაკუთვნოთ. ამჟამად არსებული ტახტის მემკვიდრეობის წესი პირმშოს ემყარება, ესე იგი სამეფო ტახტი ეკუთვნის ჩემს უფროს შვილს, ხოლო შემდგომ მის უფროსს შვილს. ახლა აბულეთ მოიმარჯვე კალამი და დაწერე შემდეგი: საქართველოს მეფე შეიქმნება დემეტრე, ხოლო დემეტრეს ევალება თავისი უმცროსი ძმა – ცვატა სამეფოდ აღზარდოს და თავის

შემდეგ გაამეფოს. ეხლავე დამიძახეთ ეპისკოპოსი და დიდებულები, შემომიტანეთ მეფის გვირგვინი. დემეტრეს დღესვე უნდა დავადგა იგი ჩემის ხელით ისე, როგორც თავის დროზე მე დამადგა მამამ. (დავით ალმაშენებელი დგება, წამოისხამს სამეფო ხალათს. ამ დროს დარბაზში შემოდიან დიდებულები, ნათესავები და ეპისკოპოსი მიქაელი, რომელსაც ბაგრატიონების სამეფო გვირგვინი შემოაქვს, დავით ალმაშენებელი განაგრძობს) დემეტრე ღირსეული მემკვიდრეა ჩემი, მას გამოცდილება არ აკლია, ყველა დიდ ბრძოლაში ჩემს გვერდით იყო, მას მხედრობაში ბადალი არა ჰყავს. იგი ჩემ დაწყებულ საქმეს ღირსეულად გააგრძელებს. დამილოცნიხარ, შვილო! (დავით ალმაშენებელი იღებს სამეფო გვირგვინს, ადგამს თავზე დემეტრეს და ოცავს, შემდეგ მას ხმალს მიაწვდიან, რომელსაც იგი დემეტრეს წელზე შემოარტყამს).

**დემეტრე.** ვფიცავ მაღალ ღმერთს და ჩემს მშობლიურ მიწას, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ ჩემი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ვიქწები ჩემი წინაპრის ღირსეული მემკვიდრე და საქართველოს არცერთ გოჯ მიწას არ დავუთმობ მტერს.

**დავით მეფე.** ეხლა კი ერთსა გთხოვთ, ჩემი ძვირფასებო, გარდაცვალების შემდეგ გელათის ეზოს მთავარ შესასვლელში მონასტრისა და აკადემიის ზღურბლზე გათხრილ სამარეში დამკრძალეთ, რათა ყველა ქართველმა სამშობლოსათვის სიყვარულით სავსე გულზე ფეხი დამადგას. ეხლა კი გთხოვთ ყველამ დამტოვოთ, რათა დავასრულო ჩემი „გალობანი სინანულისანი“.

**სცენაზე ფარდა ჩამოეშვება**

გამოდის მემატიანე აბულეთი და ამბობს:

**აბულეთი.** 1125 წლის 26 იანვარს აღესრულა დავით IV აღმა-შენებელი, ხოლო ქართველმა ერმა სამარადუამოდ მიაკუთვნა დიდ დავით აღმაშენებელს არსენ იყალ-თოელის ლექსი:

„როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,  
თურქი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა გარე გამესხნეს,  
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,  
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს.“

პიესის დასასრული

